ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

## რუსთავში 19 წლის ბიჭმა დედა დაჭრა



გვ.3

ორშაბათი, 17 ოქტომბერი, 2022 №204 (8982) ფასი: 80 თეთრი

# „ქალაძე დროზე უნდა გადადგეს, ეს მისთვისაა უკეთესი“



გედევან ფოფხაძე: „პუტინი ვერ აშანტაჟებს დასავლეთს და სოზარ სუბარი და დიმიტრი ხუნდაძე დააშანტაჟებენ?!“



გვ.2



გვ.3

## დევი მეზურნიშვილი: „მე ფულის გულისთვის არაფერი გამიკეთებია“

## ვინ დააზიანა შადრევანში კაბელი?



გვ.2



გვ.5

## ლაშა ფურცხვანიძე: „ჩვენი თანამშრომლები მუდმივად ჩადიოდნენ აუზში, ამოწმებდნენ, ყველა ტექნიკური მაკომპლექტებელი შემოწმებული გვაქვს“

## რა უნდა გააკეთოს უკრაინამ ომში გამარჯვების შემდეგ?



გვ.4



გვ.3

სამშენებლო კომპანიის დამფუძნებელს, „კანონიერი ქურდის“ დავალებით, ფულს სძალავდნენ



გვ.3

ქუთაისში 33 წლის ქალი აბორტს ემსხვერპლა

იარაღის ბრუნვის კონტროლის მექანიზმები იცვლება



გვ.5

3 საქართველოში აზარტული თამაშების მიზნით შემოსული ვიზიტორების რაოდენობა გაიზარდა

4 რა გადასახადებს იხდიან საქართველოში ფიზიკური და იურიდიული პირები

4 რომელი ქვეყნებიდან შემოდის საქართველოში ხიზილალა

6 რა შემთხვევაშია შესაძლებელი რუსეთის მიერ ბირთვული იარაღის გამოყენება?!

# „კალაძე დროზე უნდა გადადგეს, ეს მისთვისაა უკეთესი“

## გედევან ფოფხაძე: „პუტინი ვერ აშანტაჟებს დასავლეთს და სოზარ სუბარი და დიმიტრი ხუნდაძე დააშანტაჟებენ?!“

ნათია ხურცილავა

**„ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი გედევან ფოფხაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო გედევან, გიორგი ვაშაძე ოპოზიციასთან კონსულტაციების დაწყებაზე საუბრობს, ხელისუფლება კი 12-პუნქტიანი გეგმის შესრულებაზე. კობახიძე გერმანიიდან აცხადებს, რომ ისინი მზად არიან დასავლეთი დაარწმუნონ, რომ ევროპულ პერსპექტივას ვიმსახურებთ.***

– კობახიძე სადაც არ უნდა ჩავიდეს და საიდანაც არ უნდა საუბრობდეს, საქართველო ამ მოდელით, მართვის ამ სტილით, ევროპის ნაწილი ვერასდროს გახდება. ევროკავშირმა გარკვევით გვითხრა, საჭირო არის დეოლიგარქიზაცია ანუ ივანიშვილის ჩამოცილება პოლიტიკური გავლენებისგან. ეს ხელისუფლება ვერ აკმაყოფილებს 12-პუნქტიან მოთხოვნას და არც ცდილობს, რომ დააკმაყოფილოს. „ქართული ოცნება“ მზად არ არის შეელიოს სასამართლო სისტემას და კლანი გაწიროს. ეს ხელისუფლება მზად არ არის საარჩევნო კანონმდებლობის რეფორმა განახორციელოს. სამწუხაროდ, ეს ხელისუფლება მზად არ აღმოჩნდა, უკრაინასთან დაკავშირებით თავისი მკვეთრი პოზიცია დაეფიქსირებინა. ამიტომ, საქართველო ვერ მიიღებს კანდიდატი ქვეყნის სტატუსს.

საქართველოს არ აქვს სხვა შესაძლებლობა გარდა იმისა, რომ ჩაეწეროს ახალ მსოფლიო წესრიგში და გახდეს მისი ორგანული ნაწილი, რასაც ეწინააღმდეგება თავისი არსით „ქართული ოცნება“.

რაც შეეხება ოპოზიციის გაერთიანებას,




ვფიქრობ, ეს გარდაუვალი პროცესია. სხვა ალტერნატივა, უბრალოდ, არ არსებობს.

***– ყველა, გარდა მინუს ერთისა?***

– ყველა პროდასავლური ძალა, რომელიც მზად იქნება აიღოს ქვეყნის, ხალხის წინაშე პასუხისმგებლობა, რომ ის მზად არის ახალ მსოფლიო წესრიგში საქართველოს ღირსეულ ადგილს დაუმკვიდრებს. რომელსაც ექნება ძალა, გაუმკლავდეს საგარეო გამოწვევებს და ქვეყნის დასავლური კურსი და ვექტორი რეალობად აქციოს.

აშკარაა, რომ ამ გაერთიანებაში „პატრიოტთა ალიანსისა“ და „ალტინფოს“ ადგილი ვერ იქნება.

***– რამდენად არის ასეთი ერთობა შესაძლებელი? ოპოზიციის ლიდერების ამბიციებიდან გამომდინარე გეკითხებით.***

– გასაგებია, მაგრამ თუ ოპოზიციამ საკუთარ ამბიციებზე მაღლა არ დააყენა სახელმწიფოს ინტერესები, მაშინ არაფერი გამოვა. ძირითადი მიზიდულობის ცენტრი უნდა იყოს პროდასავლური ვექტორი, დასავლეთისკენ სწრაფვა და ამის რეალობად ქცევა. ევროკავშირისგან გადმოგვეცა 12-პუნქტიანი გეგმა, რომელიც უნდა შესრულდეს. 12-პუნქტის ფარგლებში უნდა იმოქმედოს ამ ერთობამ და სტატუსის მიღება რეალობად უნდა ვაქციოთ.

***– თუ ევროკავშირმა უარი გვითხრა სტატუსზე, მერე რა ხდება?***

– მაშინ უნდა გამოვიდეთ ქუჩაში და უნდა დავსვათ ვადამდელი არჩევნების საკითხი. მე არ გამოვრიცხავ, „ქართულმა ოცნებამ“ თქვას, რომ ტექნიკურად მისი შესრულება რთულია, რადგან მას არ ჰყავს უმრავლესობა. შეიძლება ეს პროცესი 2024 წლამდეც კი გააჭიანუროს. ასეთი ხერხისთვის მას საკონსტიტუციო ცვლილებების დროსაც მიუმართავს, მაგრამ ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ხელისუფლებამ ამისთვის პასუხი აგოს. ის ახლა ვაჭრობს. ვაჭრობს გამალებით.

***– ვისთან?***

– დასავლეთთან. სწორედ ამიტომ გამოყო „ქართული ოცნებიდან“ ის ოთხეული, მაგრამ არაფერი არ გამოუვა. პუტინი ვერ აშანტაჟებს დასავლეთს და სოზარ სუბარი და დიმიტრი ხუნდაძე დააშანტაჟებენ?! ამიტომ არის საჭირო, სწორედ ამ დროისთვის პოლიტიკური სპექტრი იმდენად ძლიერი და ერთიანი იყოს, რომ შეიქმნას რეალური მიზიდულობის ცენტრი. ცენტრი, რომლის მიმართაც ხალხს ნდობა ექნება.

***– გამორიცხავთ, 2024 წლისთვის „ქართულმა ოცნება“ სწორედ ამ ოთხეულთან შექმნას კოალიცია და ასე მოვიდეს ხელახლა ხელისუფლებაში?***

– გამოვრიცხავ! გამოვრიცხავ მსოფლიოში მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით. ამ შესაძლებლობას არ ვუშვებ იქიდან გამომდინარე, რომ ქრება პუტინი და ქრება პუტინის მართვის მოდელიც. რა ტრიუკებიცა და სცენარებიც არ უნდა დადგან, ამაზე ხალხისგან უნდა მიიღონ პასუხი. რუსული მართვის მოდელს ხალხმა უარი უნდა უთხრას. დემოკრატიული მმართველობა არის გამოსავალი, რომელიც დაგვაახლოებს დასავლეთთან.

> „ქართული ოცნება“ მზად არ არის შეელიოს სასამართლო სისტემას და კლანი გაწიროს. ეს ხელისუფლება მზად არ არის საარჩევნო კანონმდებლობის რეფორმა განახორციელოს. სამწუხაროდ, ეს ხელისუფლება მზად არ აღმოჩნდა, უკრაინასთან დაკავშირებით თავისი მკვეთრი პოზიცია დაეფიქსირებინა. ამიტომ, საქართველო ვერ მიიღებს კანდიდატი ქვეყნის სტატუსს“

არ შემიძლია არ გამოვეხმაურო კახი კალაძის განცხადებას, რომ მზად არის პასუხი აგოს კანონის წინაშე თუ მისი დანაშაული გამოიკვეთება. ეს არ არის მორალურად გამართლებული განცხადება. კალაძე დროზე უნდა გადადგეს. თუ არ გადადგება, ამით მდგომარეობას კიდევ უფრო გაირთულებს. ამ ტრაგედიის შემდეგ გაუჭირდება, მერი იყოს და ჩვეულებრივ რეჟიმში იმუშაოს. რაც უფრო სწრაფად გააცნობიერებს ამას, მისთვის არის უკეთესი.

# გიგა ბოკერია: „კახა კალაძე უნდა გადადგეს“



„ევროპული საქართველოს“ თავმჯდომარე გიგა ბოკერია მიიჩნევს, რომ ვაკის პარკში მომხდარი ტრაგედიის გამო, დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ პოლიტიკური პასუხისმგებლობა უნდა აიღოს და გადადგეს.

როგორც მან ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, როგორც ირკვევა, ვაკის პარკში, შადრევნის პროექტის ჩაბარების დროს, აშკარა იყო დანაშაულებრივი დაუდევრობა.

– რა თქმა უნდა {უნდა გადადგეს}. მინიმუმ იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რაც გავიგეთ ამ კომპანიის რეპუტაციაზე. ასევე, იმ პრაქტიკით დაწყებული, რომელიც მერიაში „ქართული ოცნების“ პირობებში არის გავრცელებული, რომ რეპუტაციას მნიშვნელობა არ აქვს, მნიშვნელობა არ აქვს ცუდად შეასრულე თუ არა სამუშაო, იყავი თუ არა ბრალდებული, ამის მიუხედავად, საფუძვლიან ეჭვზე დაყრდნობით, ნეპოტისტური ან პოლიტიკური კორუფციის გამო ხდება ასეთ კომპანიებთან თანამშრომლობის გაგრძელება.

თავი რომ დავანებოთ იმ ასპექტს, რომ როგორც ახლა ირკვევა, ჩემი აზრით, ჩაბარების დროს აშკარა იყო დანაშაულებრივი დაუდევრობა. ასეთ დროს არსებობს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა, ასევე პოლიტიკური, რომელსაც წვლილი მიუძღვის ამ კლიმატის შექმნაში, – აღნიშნავს ბოკერია.

# ვინ დააზიანა შადრევანში კაბელი?

სამშენებლო ექსპერტიზის ბიუროს დირექტორი ზურაბ ამირანაშვილი ამბობს, რომ მისი ინფორმაციით, ვაკის პარკის შადრევანში არსებული დენის კაბელი დაზიანებული იყო.



ვაკის პარკში შადრევნის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე 6 ინსპექტირების ანგარიში არსებობს, მათგან 5 სწორედ „სამშენებლო ექსპერტიზის ბიურომ“ ჩაატარა,

– როგორც იძახიან, კაბელია გადაქერცლილი თუ გადაჭრილი, არ ვიცი, მაგის ბრალია თუ სხვა რამის, არ ვიცი. ჩვენ ჩვენი ეტაპის მერე საერთოდ აღარ ვყოფილვართ იქ. ჩვენ არანაირი ინფორმაცია არ გვაქვს, უსაფრთხო იყო თუ არა, – თქვა მან.

აღნიშნული კომპანია 2022 წელს შავ სიაში შეიყვანეს. როგორც დირექტორი განმარტავს, ამის მიზეზი დოკუმენტზე ხელმოწერა იყო.

– ხელმოწერის გულისთვის, თანამშრომლის ხელმოწერის გულისთვის, რომელიც გარდაცვლილი იყო და დავასვი ფაქსიმილეა საბუთს, – თქვა მან.

ზურაბ ამირანაშვილის თქმით, საქმეზე გამოძიებამ კომპანიის თანამშრომლები დაკითხა, თუმცა თავად ამირანაშვილი არ გამოუკითხავთ. მისი თქმით, იმ შემთხვევაში თუ დაიბარებენ პოლიციის განყოფილებაში, დეტალურად მიაწვდის გამოძიებას იმ ინფორმაციას, თუ რა სამუშაოები შესრულა ვაკის პარკში.

მომხდარ ტრაგედიაზე ზურაბ (გირჩი) ჯაფარიძე აცხადებს:

– რამდენი დღე შეიძლება დასჭირდეს იმის გარკვევას, საიდან მოხდა გადასვლა და ვინ არის ამაზე პასუხისმგებელი?

სადღაც შეხება ჰქონდა დენის წყაროს წყალთან, არ იყო დამიწება, არ იყო დაცვა, ან იყო და ხარისხიანად არ იყო გაკეთებული ან რაღაც მსგავსი;

წმინდად ტექნიკური ამბავია, დენი ჰაერიდან ვერ გაჩნდებოდა (მეხი არ ყოფილა);

რამდენი დღე შეიძლება დასჭირდეს იმის გარკვევას, რა მოხდა და ვის გამო მოხდა?

მაგრამ არა, საბჭოთა საქართველოში ეგრე მარტივად არ არის საქმე;

აქ ყველა პროექტი შედგენილია ისე, როგორც საჭიროა და მერე სახელმწიფოს მიერ შემოწმებულია, რომ ეს ნამდვილად ასეა;



ამ შემოწმებაში ვიღაცებმა ჩვენი გადასახადებიდან აიღეს ხელფასები;

პროექტები როგორ უნდა იქნეს შედგენილი, ეგეც წინასწარ არის განსაზღვრული, შემოწმებული და დამტკიცებული;

ამაშიც ვიღაცებმა ჩვენი გადასახადებიდან აიღეს ხელფასები;

აქ ყველა დეტალი ნაყიდია იქ, სადაც საჭიროა და მერე სახელმწიფოს მიერ შემოწმებულია, რომ ეს ნამდვილად ასეა;

ამაშიც ვიღაცებმა ჩვენი გადასახადებიდან აიღეს ხელფასები;

აქ ყველა ელექტრიკოსი შემოწმებული, სერტიფიცირებული და უფლებამინიჭებულია, მერე ზემოდან გადამოწმებული;

ამაშიც ვიღაცებმა ჩვენი გადასახადებიდან აიღეს ხელფასები;

აქ ყველა შესრულებული პროექტი რამდენჯერმე გადამოწმებული, მიღება-ჩაბარებული და მხოლოდ ამის შემდეგ გაშვებულია;

ამაშიც ვიღაცებმა ჩვენი გადასახადებიდან აიღეს ხელფასები;

აქ ყველა შემმოწმებელი თავად გადამოწმებული, აკრედიტებული, სერტიფიცირებული, სტანდარტიზებული და ბეჭედდარტყმულია სახელმწიფოს მიერ;

ამაშიც ვიღაცებმა ჩვენი გადასახადებიდან აიღეს ხელფასები;

აქ ყველა შესამოწმებელი ინსტრუმენტი შემოწმებულია, დაკალიბრებულია და სერტიფიცირებულია შესაბამისი ლაბორატორიის მიერ, რომელიც თავის მხრივ შემოწმებული, აკრედიტებული და სერტიფიცირებულია შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების მიერ;

ამაშიც ვიღაცებმა ჩვენი გადასახადებიდან აიღეს ხელფასები;

აქ ფურცელზე ყველაფერი წესრიგშია, თითქმის ყოველთვის;

ზუსტად ისე, როგორც იმ ქვეყანაში, რომელშიც მე დავიბადე;

ყველაფერი წესრიგშია, ყველაფერი კარგადაა, მაგრამ ბავშვი მოკვდა;

ალბათ დივერსიაა, აბა როგორ?

აქ ყველა ყველაფერზეა პასუხისმგებელი და, ამავე დროს, არავინ არაფერზე;

აქ, შესაბამისი ნების არსებობის შემთხვევაში ნებისმიერი შეგიძლია დასაჯო, და პირიქით, არც არავინ დასაჯო;

ასეა ეს სისტემა მოწყობილი;

ჩემს ეზოში ვინმეს რომ შევუკვეთო შადრევნის მოწყობა და ჩაბარებიდან მეორე დღეს იმ შადრევანში ვინმე მოკვდეს, ვინ იქნება პასუხისმგებელი?

ვინც გააკეთა

ჩვენი გადახდილი გადასახადებით (6.5 მილიონი ლარი) მერიისთვის „შეკვეთილ“ (ბრჭყალებში იმიტომ, გადასახადები წართმეული ფულია და ისე ხარჯავენ, რომ ბევრი ჭამონ) შადრევანზე რატომ არ ვრცელდება იგივე ლოგიკა?

იმიტომ... ზემოთ წერია რატომაც, კიდევ იმიტომ, რომ პასუხის მომთხოვნი არავინაა. საკმარისი ძალა არავის აქვს ამ ქვეყანაში. აქედან დე ფაქტო ძალაუფლების მქონეთა უპასუხისმგებლობაც, ამ უპასუხისმგებლობის სათავე კი მიტაცებული ძალაუფლებაა.

სანამ ამას არ გავასწორებთ, ამ სისტემის გასწორების შანსი ნულია, სანამ ამას არ გავასწორებთ, ყველა პასუხისმგებელი ვართ.

ბოლოს შეტენიან ვინმეს, ახლა წყდება, ვისზე გადატყდება ჯოხი. ან არც შეტენიან, მაინცდამაინც არც არავინ აწუხებს და ერთ კვირაში შეიძლება შემოდონ ესებუას საქმის გვერდით.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# დევი მეზურნიშვილი: „მე ფულის გულისთვის არაფერი გამიკეთებია“

„გამიკვირდა, როცა ჩემს ანგარიშზე თანხის დარიცხვა დაიწყო... მე ფულის გულისთვის არაფერი გამიკეთებია“ – რას ამბობს დევი მეზურნიშვილი სოციალურ ქსელში წამოწყებულ კამპანიაზე?

სოციალურ ქსელში განხილვის საგნად იქცა ვაკის პარკის მთავარი მებაღის, დევი მეზურნიშვილის მიმართ გამოჩენილი ქველმოქმედების აქტი – გამოქვეყნდა მისი საბანკო ანგარიში, რომელზეც მოქალაქეები თანხებს სურვილისამებრ და მადლიერების ნიშნად რიცხავდნენ.

რამდენიმე ადამიანმა გაავრცელა „ლაივი“, სადაც მოსახლეობას მოუწოდებდნენ, რომ წაეხალისებინათ ვაკის პარკში დატრიალებული ტრაგედიისას გამოჩენილი გმირობა და მებაღე, რომელმაც ბავშვები სიკვდილს გადაარჩინა. ამ ინიციატივას სოციალურ ქსელში ზოგიერთი უტაქტოდაც გამოეხმაურა.

– მადლობის მეტი რა მეთქმის, მაგრამ არ იყო საჭირო... მთელი ცხოვრება თვითონ ქველმოქმედებას ვეწევი, რითაც შემიძლია და ალბათ ამ თანხასაც გაჭირვებულ ადამიანებს გადავცემ, – ამბები.გეს დევი მეზურნიშვილმა განუცხადა.

– არ ვიყავი საქმის კურსში, არაფერი ვიცოდი. ძალიან გამიკვირდა, ჩემს ანგარიშზე თანდათან თანხები რომ ირიცხებოდა. ვერ გავიგე, ანგარიში საიდან იცოდნენ, ვინ და როგორ გაავრცელა... მერე „ტვ პირველიდან“ დამიკავშირდნენ და მითხრეს, ეს ჩვენ გავაკეთეთ, ხალხის მხარდაჭერით, თქვენ მიმართ მადლიერება რომ გამოეხატათო. ვუთხარი, რომ არ იყო საჭირო. ნეტა, ის გოგონა გადარჩენილიყო, ამით უფრო ვიამაყებდი და ეს იქნებოდა ჩემთვის საჩუქარი-თქო. არა, არაფერია, არ იუხერხულოთ, ოჯახს მოახმარეთ, ჩვენი ინიციატივით მოხდა ასეო. დიდი მადლობა ყველას, მაგრამ არ იყო საჭირო...



ფულის გულისთვის არაფერი გამიკეთებია, ამაზე როგორ უნდა მეფიქრა, ბავშვები იღუპებოდნენ და მათ გადასარჩენად შევედი წყალში.

თვითონ, მთელი ცხოვრება, საქველმოქმედო ფონდში იქეთ ვრიცხავდი, რაც შემეძლო. ამ თანხით კიდევ უამრავ გაჭირვებულს დავეხმარები. ულრმესი მადლობა ყველას, უბრალოდ, არ იყო საჭირო, ცხოვრებაში არავისთვის არაფერი მითხოვია, არავინ ჩათვალოს, რომ ეს ჩემი ინიციატივა იყო, ან საქმის კურსში ვიყავი. წლების მანძილზე ქირით ვცხოვრობ ერთ პატარა მოჭყუნულ ოთახში და ხელფასის ნახევარს ქირაში ვიხდიდი, მაგრამ მაინც არ მინდოდა ასე მომხდარიყო. ასე მოკრძალებულად ვცხოვრობ, არასდროს არავისთვის არაფერი შემიჩივლია და მითხოვია, რასაც ვშრომობდი, ცოტა იყო თუ – ბევრი, იმით ვკმაყოფილდებოდი. უფლის წყალობა არ მოგკლებოდეთ ყველას.

# სამშენებლო კომპანიის დამფუძნებელს, „კანონიერი ქურდის“ დავალებით, ფულს სძალავდნენ



შინაგან საქმეთა სამინისტრომ „ქურდულ სამყაროსთან“ კავშირში მყოფი 4 პირი, მათ შორის „ჯორჯიკა და მავნე“ დააკავა.

– გამოძიებამ დაადგინა, რომ ნ. ჯ. („ჯორჯიკა) და გ.ა („მავნე“) ოთარ კვარაცხელიას (მეტსახელად „კიმო“) დავალებით, ერთ-ერთი სამშენებლო კომპანიის თანამფლობელებს საკუთარი კრიმინალური გავლენის გამოყენებით მფარველობას დაჰპირდნენ, რის სანაცვლოდაც მათგან გარკვეულ თანხას იღებდნენ.

რამდენიმე ხნის შემდეგ, ბიზნესმენებმა შეწყვიტეს კრიმინალური ავტორიტეტებისთვის თანხის გადახდა, რის გამოც მათ შორის დავა წარმოიშვა“

ე.წ. კანონიერი ქურდი ოთარ კვარაცხელია („კიმო“) კრიმინალურ წრეებში დიდი გავლენებით სარგებლობს, იგი რამდენჯერმე არის ნასამართლევი.

„კიმო“ 1990-იანი წლების დასაწყისში ორჯერ დააკავეს იარაღისა და ნარკოტიკების შენახვისთვის. კვარაცხელია 1996 წელს მოსკოვში დააკავეს, წარუმატებელი გაქცევის დროს კი მესამე სართულიდან გადმოხტა, რა დროსაც ფეხი მოიტეხა.

„კიმოს“ კრიმინალური დაჯგუფება მოსკოვში მანქანების ქურდობითა და სავალუტო ჯიხურების ძარცვით არის დაკავებული.

თბილისში გამართულ ე.წ. კრიმინალურ გარჩევას ეწეოდა ოთარ კვარაცხელიას ძმაც, „ქურდული სამყაროს“ მხარდამჭერი ვ.დ.-ც.

# ქუთაისში 33 წლის ქალი აბორტს ემსხვერპლა



ქუთაისში ახალგაზრდა ქალი აბორტს ემსხვერპლა.

აბორტი მეორე სამშობიაროში ექიმმა ირაკლი მერკვილაძემ გაუკეთა. ქალი უმძიმეს მდგომარეობაში შეიყვანეს ინფექციურში, თუმცა მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

გოგონას აბორტის საჭიროება ჰქონდა. „მეგა ტვ“-ის ინფორმაციით, გარდაცვლილ 33 წლის ქალს აბორტი ციხიდან ახლახან გამოსულმა ექიმმა გაუკეთა. როგორც სააგენტო იუწყება, ქუთაისის №2 ახალი სამშობიაროს მთავარმა ექიმმა, ირაკლი მერკვილაძემ, ორწლიანი პატიმრობის შემდეგ, საპყრობილე 2020 წლის იანვარში დატოვა. იგი სასჯელს, 22 წლის ვიოლეტა მატიონოვას გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობისთვის იხდიდა.

33 წლის გოგონას გარდაცვალებაში ოჯახის ახლობლები ექიმს ადანაშაულებენ.

# რუსთავში 19 წლის ბიჭმა დედა დაჭრა

რუსთავში, ჭყონდიდელის დასახლებაში, ორმოც წლამდე ასაკის ქალი შვილმა დაჭრა. არსებული ინფორმაციით, 19 წლის შვილსა და დედას შორის კონფლიქტი ყოფით ნიადაგზე მოხდა.




შვილის მიერ დაჭრილი ახალგაზრდა ქალი რუსთავის ცენტრალურ საავადმყოფოში გადაიყვანეს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ ცენტრალური საავადმყოფოს დირექტორმა, პაპუნა ბახტაძემ განუცხადა, ქალს ჭრილობა ცივი იარაღით მუცლის არეში ჰქონდა მიყენებული.

– ახალგაზრდა ქალს ჭრილობა ცივი იარაღით ჰქონდა მიყენებული და აღენიშნებოდა მუცლის ღრუს ორგანოების დაზიანება. ჩაუტარდა სასწრაფო ოპერაცია, პაციენტი ამ დროისთვის კვლავ რეანიმაციულ განყოფილებაშია. მისი მდგომარეობა სტაბილურია, – განაცხადა რუსთავის ცენტრალური საავადმყოფოს დირექტორმა პაპუნა ბახტაძემ.

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა 19-108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ოჯახის წევრის მიმართ განზრახ მკვლელობის მცდელობას გულისხმობს. სამართალდამცველებმა დანაშაულში ეჭვმიტანილი პირი უკვე დააკავეს.

# ახალქალაქში 22 ბიჭი ავარიით დაიღუპა




16 ოქტომბერს, გვიან ღამით ახალქალაქში, შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობის მოპირდაპირე მხარეს, ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. ინფორმაციას „სამხრეთის კარიბჭე“ ავრცელებს.

გამოცემის ცნობით, 22 წლის ბიჭს, რომელიც ქუჩაში ფეხით გადაადგილდებოდა, მანქანა დაეჯახა.

– ჩვენთან დაახლოებით ღამის 02:00 საათი იქნებოდა, რომ შემოიყვანეს 22 წლის ბიჭი, უკვე ტერმინალური იყო უგონოდ, ფაქტობრივად გარდაცვლილი შემოიყვანეს და მალევე დაფიქსირდა გარდაცვალება. დაახლოებით 04:00 საათზე ცხედარი პროზექტურაში გადაასვენეს, – ამბობს „სამხრეთის კარიბჭესთან“ ახალქალაქის რეფერალური ჰოსპიტლის დირექტორი ალექსანდ თოროსიანი. ადგილზე საპატრულო პოლიციის ეკიპაჟები იყო მობილიზებული.

ეკონომიკა

# 2022 წლის 9 თვეში თბილისში უძრავი ქონების გაყიდვები 21%-ით გაიზარდა

„მხოლოდ სექტემბრის მონაცემებით, გასულ თვეში, თბილისში ახალაშენებულ მედიუმ სეგმენტის ბინებზე მოთხოვნა გაორმაგდა, პრემიუმ სეგმენტში მაჩვენებელი 167%-ით გაიზარდა, ეკონომსეგმენტში კი ზრდა 5% იყო“ – ამის შესახებ Colliers Georgia-ს კვლევაში წერია.

გასულ თვეს ახალ პროექტებში ტრანზაქციების 29%-იანი ზრდა დაფიქსირდა. ძველ პროექტებში კი მაჩვენებელი 22%-ით გაიზარდა.

სექტემბერში, თბილისში სულ 3 831 საცხოვრებელი ბინა გაიყიდა და წინა წლის სექტემბერთან შედარებით 27%-იანი ზრდა დაფიქსირდა. ბაზრის ზომა კი 42%-ით, 196 მილიონ აშშ დოლარამდე გაიზარდა.

Colliers Georgia-ს ინფორმაციით, სექტემბერში ახალაშენებული ბინების საშუალო შეწონილი გასაყიდი ფასი ქალაქის ცენტრში 16%-ით გაიზარდა, ფართო ცენტრში – 15%-ით, გარეუბნებში კი – 11%-ით. რაც შეეხება ძველ ბინებს, მათი საშუალო შეწონილი გასაყიდი ფასი, გარეუბნებში 10%-ით გაიზარდა, ქალაქის ცენტრსა და ფართო ცენტრში კი 9%-იანი ზრდა დაფიქსირდა.

რაც შეეხება 9 თვის ჭრილს. 2022 წლის იანვარ-სექტემბერში, თბილისში 31 023 საცხოვრებელი ბინა გაიყიდა. წლიური ზრდა 21%-ია. 2021 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ბაზრის ზომა 35%-ით, 1.5 მლრდ დოლარამდე გაიზარდა.

იანვარ-სექტემბერში თბილისში ახალაშენებულ მედიუმ სეგმენტის ბინებზე მოთხოვნა გაორმაგდა, პრემიუმ სეგმენტში კი მაჩვენებელი 137%-ით გაიზარდა. რაც შეეხება ეკონომსეგმენტს, ტრანზაქციების რაოდენობა მხოლოდ 5%-ით გაიზარდა.

მიმდინარე წლის პირველ 9 თვეში თბილისში ახალ პროექტებში ტრანზაქციების 24%-იანი ზრდა დაფიქსირდა. ძველ პროექტებში კი მაჩვენებელი 16%-ით გაიზარდა.

კვლევითი ორგანიზაციის ინფორმაციით, 9 თვეში ახალაშენებული ბინების საშუალო შეწონილი გასაყიდი ფასი თბილისის ცენტრსა და ფართო ცენტრში 11%-ითაა გაზრდილი, გარეუბნებში კი 9%-იანი ზრდა დაფიქსირდა. ამასთან, ძველი ბინების საშუალო შეწონილი გასაყიდი ფასი 8%-ით გაიზარდა გარეუბნებში, ქალაქის ცენტრსა და ფართო ცენტრში კი ზრდის მაჩვენებელი 7% იყო.



# საქართველოში აზარტული თამაშების მიზნით შემოსული ვიზიტორების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა



„აზარტული თამაშების მიზნით შემოსული ვიზიტორების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა“ – ამის შესახებ აღნიშნულია კვლევითი ორგანიზაცია PMCG-ის ანგარიშში.

– აქტივობების მიხედვით, 2022 წლის პირველ ნახევარში ზღვაზე მიმავალი ვიზიტორების წილი პანდემიამდელ პერიოდთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა. ასევე, გაიზარდა იმ ვიზიტორთა წილიც, რომელთა მიერ განხორციელებულ აქტივობებს შორის აზარტული თამაშებია. მეორე მხრივ, ისეთი აქტივობები, როგორებიცაა: ნადირობა, თევზაობა, ჯომარდობა, მთამსვლელობა და ცხენოსნობა ამ პერიოდში საერთაშორისო ვიზიტორების მიერ ყველაზე ნაკლებად მოთხოვნადი აღმოჩნდა, – აღნიშნულია ორგანიზაციის ანგარიშში.

ამასთან, კვლევის მიხედვით, მონახულებული ადგილების მიხედვით, ბათუმის წილი ვიზიტების მთლიან რაოდენობაში გაიზარდა და 2022 წლის პირველ ნახევარში 38.4%-ს მიაღწია. ამასთანავე, თბილისისა და ქუთაისის წილები, შესაბამისად, 4%-ით და 3.6%-ით გაიზარდა.

საერთაშორისო ვიზიტორების მიერ მონახულებული რეგიონების კი ასე ნაწილდება: (2022 წლის 6 თვე)

თბილისი – 39%; აჭარა – 26%; მცხეთა-მთიანეთი – 13%; ქვემო ქართლი – 6%; იმერეთი – 5%; სამცხე-ჯავახეთი – 4%; კახეთი – 3%; სამეგრელო-ზემო სვანეთი – 2%; შიდა ქართლი – 2%;

– 2022 წლის პირველ ნახევარში საერთაშორისო ვიზიტების ძირითადი მიზნების მიხედვით განაწილებაზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ დასვენების/რეკრეაციისა (გაზრდილი 9.1პპ-ით) და მეგობრებთან/ნათესავებთან სტუმრობის (6.1პპ) წილი საერთო ვიზიტებში პანდემიამდელ მაჩვენებელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა. თუმცა, ტრანზიტის წილი 4.3პპ-ით, ბიზნეს ვიზიტების 4.1პპ-ით, ხოლო შოპინგის 4.0პპ-ით შემცირდა, – აღნიშნულია მიმოხილვაში.

ორგანიზაციის მიმოხილვის მიხედვით, 2021 წლიდან საერთაშორისო ვიზიტების აღდგენის მნიშვნელოვანი დინამიკა შეინიშნება. აღსანიშნავია, რომ 2022 წლის I კვარტლიდან აღდგენა გაძლიერდა და II კვარტალში 2019 წლის შესაბამისი პერიოდის საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობის თითქმის ნახევარს მიაღწია.

საერთაშორისო ვიზიტების ნაწილობრივი აღდგენის მიუხედავად, 2022 წლის I კვარტალში საერთაშორისო ვიზიტორების მთლიანმა დანახარჯმა პანდემიამდელ მაჩვენებელს მნიშვნელოვნად, 21%-ით, გადააჭარბა, ხოლო 2022 წლის II კვარტალში დანახარჯები 2019 წლის II კვარტლის მაჩვენებელს მხოლოდ 6%-ით ჩამორჩებოდა – წერია კვლევაში.

# რა უნდა გააკეთოს უკრაინამ ომში გამარჯვების შემდეგ?

## ამერიკელი კონსტიტუციონალისტი: „საზოგადოების მხრიდან უსიტყვო შეთანხმებამ ხელისუფლებასთან, შეიძლება, უკრაინა რუსეთს მიამსგავსოს“

მარიამ მჭედლიშვილი

**ავტორიტარიზმის ნიშნები, დემოკრატიიდან გადახვევა, არასრული რეფორმები, ნეპოტიზმი და სხვა მანკიერებები ახასიათებს როგორც უკრაინას, ისე საქართველოს. საქართველოსთვის ასევე პრობლემაა პოლიტიკური სპექტრის უმრავლესობის ფარული დამოკიდებულება რუსეთზე და ღია ბოლოდროინდელი ანტიდასავლური პროპაგანდის გააქტიურება.**

**გადაიზრდება თუ არა უკრაინაში ომის დროს გაზრდილი პრეზიდენტის ძალაუფლება ავტორიტარიზმში? როგორ უნდა გადავიდეს რუსეთთან ომში გამარჯვებული უკრაინა რეფორმებისა და მოდერნიზაციის ლიანდაგზე? – ამ და სხვა საკითხებზე უკრაინული მედია ესაუბრა ცნობილ ამერიკელ კონსტიტუციონალისტს, დევიდ უილიამსს. ამ საკითხებიდან არაერთი საყურადღებოა საქართველოსთვისაც. საქართველოს შემთხვევაში ავტორიტარიზმის დამკვიდრების მცდელობაში პრეზიდენტის ინსტიტუტი გარეული არ არის.**



**დევიდ უილიამსი:**

– ამჟამად ზელენსკი არის ნომერ პირველი გმირი მსოფლიოში. პრობლემა ისაა, რომ ის მხოლოდ ფრონტმენია, რომლის უკან დგას მისი ოფისი, რომელიც არ იღებს გადაწყვეტილებებს. სამწუხაროდ, სახელმწიფო მმართველობის სისტემიდან ფაქტობრივად განდევნილი არიან მინისტრთა კაბინეტი და პარლამენტი. ქვეყნის მართვის გამოცდილებამ საომარი მდგომარეობის დროს, შეიძლება უფრო მეტად აცდუნოს გამარჯვებული პრეზიდენტი. თუ თქვენ აკრიტიკებთ ხელისუფლებას ომის დროს, ყოველთვის დაგადანაშაულებენ იმაში, რომ მტერზე მუშაობთ. განსაკუთრებით საშიშია

### „უნდა გახსოვდეთ, რისთვის იბრძვით“

პოპულარული პრეზიდენტების კრიტიკა. ამ პრეზიდენტებს ომში გამარჯვება ჯერ არ მოუპოვებიათ, მაგრამ მათ უკვე აღიქვამენ გამარჯვებულებად.

მთავარი საფრთხე მდგომარეობს უსიტყვო შეთანხმებაში ხელისუფლებასთან – როცა მედია და საზოგადოება არ აკრიტიკებს ხელისუფლებას, პრეზიდენტს და მის ოფისს აძლევს უფლებას, საკუთარი ხედვის მიხედვით ჩამოაყალიბონ სახელმწიფო პოლიტიკა. ეს უკრაინას თანდათან რუსეთს დაამსგავსებს. პრეზიდენტის არგაკრიტიკება – ესაა „რუსული სამყარო“. ამ შემთხვევაში თქვენ იბრძვით სხვა დროშისთვის და არა სხვა სისტემისთვის.

***– ჩვენთან ერთიანი ტელეფორმატის მოქმედების გამო გაქრნენ მოქმედი პოლიტიკოსები. ახლებიც არ გამოჩენილან. რა საპირწონეები უნდა ჩაირთოს ამის წინააღმდეგ?***

– თუ ხელისუფლებას ძალიან გაიტაცებს პროცესი, თუ ის აღარ მოუსმენს ხალხს, თქვენ ამის წინააღმდეგ გაქვთ შემოწმებული ინსტრუმენტი. უკრაინელები უკვე ორჯერ გამოვიდნენ მაიდანზე, რათა თავიდან აეცილებინათ უარესი სცენარის განვითარება. ეს გამოგივიდათ, მაგრამ თქვენ ფუნდამენტურად არ შეცვალეთ სისტემა. ეს აშშ-მაც გაიარა. ორი ომის დროს ჩვენ ვიბრძოდით და თავს ვწირავდით ფასეულობებისა და არა ინტერესებისათვის. პირველი ომი იყო დამოუკიდებლობისათვის, მეორე სამოქალაქო ომი იყო. ეს ომები მიმდინარეობდა გარკვეული იდეალებისა და შეხედულებებისათვის. ომებში გამარჯვების შემდეგ დადგა საკითხი, თუ როგორ უნდა მოხდეს ბრძოლის ველზე მოპოვებული მიღწევების განხორციელება.

რაც შეეხება უკრაინას, ღრმად ვარ დარწმუნებული, თუ სტრატეგიულ პერსპექტივაში რაღაცის ფუნდამენტურად შეცვლა გინდათ, უნდა გარდაქმნათ ხელისუფლების სტრუქტურა. იმისთვის, რომ შეცვალოთ ხელისუფლების სტრუქტურა, უნდა შეიცვალოს კონსტიტუცია.

***– ომი, როგორც შანსი, როგორ უნდა გამოვიყენოთ? როცა ხელისუფლება ლაპარაკობს ქვეყნისა და მისი ინფრასტრუქტურის აღდგენაზე მომავალში, მე და ჩემი კოლეგები ასევე ვფიქრობთ პოლიტიკური სისტემის აღდგენაზე. როგორც ვიპოვოთ ბილიკი, რომელიც ომიდან მოდერნიზაციაში გადაგვიყვანს?***

– უნდა გახსოვდეთ, რისთვის იბრძვით. ეს მხოლოდ საზღვრებისათვის ომი არ არის. პუტინი თავს დაესხა უკრაინას არა მარტო იმიტომ, რომ ტერიტორიის ნაწილის მოკბეჩა უნდა. ეს არის ომი იდეისა და ფასეულობებისათვის. თქვენ ჰუმანურობის, დემოკრატიის, თავისუფლების მხარეს დგახართ. დასავლეთი ამიტომაც გეხმარებათ. დასავლეთი გიწევთ დახმარებას იმისთვის, რომ ეს ომი მოიგოთ.

გამარჯვების შემდეგ უარი უნდა ეთქვას კორუფციას, ნეპოტიზმსა და ნაცნობ-მეგობრობას. მშვიდობიანობის დროს თქვენ უნდა გახდეთ სახელმწიფოს მშენებლები და უნდა აღიქვათ თავი მშენებლებად. მით უმეტეს, რომ ორმა მაიდანმა გამოააშკარავა თქვენი პოსტრევოლუციური შეცდომები.

***– რამდენად შეცვალა ამ ომმა ამერიკა?***

– უკრაინა იმ მცირე საკითხთაგანია, რომელიც აერთიანებს ამერიკელების უმრავლესობას. არსებობს ადამიანების მცირე რაოდენობა, რომელიც მხარს უჭერს პუტინს. საბედნიეროდ, მათ არანაირი პოლიტიკური ძალაუფლება არა აქვთ. ვაშინგტონში არსებობს კონსენსუსი იმაზე, რომ უნდა გავაკეთოთ ის, რასაც ვაკეთებთ – დავეხმაროთ უკრაინას. უკრაინის წინააღმდეგობამ და უკრაინამ პოზიტიური გავლენა მოახდინეს თანამედროვე შტატებზე.

ეკონომიკა

# რა გადასახადებს იხდიან საქართველოში ფიზიკური და იურიდიული პირები

საქართველოში 6 ტიპის გადასახადი მოქმედებს. მათი ნაწილის გადამხდელები ფიზიკური პირები არიან, ნაწილის კი – იურიდიული პირები. ქვეყანაში მოქმედი გადასახადების ტიპები და ტარიფები შემდეგნაირად გამოიყურება:

საშემოსავლო გადასახადი -20%;

ქონების გადასახადი -1%;

მოგების გადასახადი -15%;

დღგ -18%;

აქციზი – დიფერენცირებულია საქონლის ჯგუფების მიხედვით;

იმპორტის გადასახადი -5% და 12% სასაქონლო ჯგუფების მიხედვით.

საშემოსავლო გადასახადი ქვეყანაში მოქმედი გადასახადის ძირითადი ტიპია, რომელსაც ყველა დასაქმებული ფიზიკური პირი იხდის. ეს გახლავთ საკუთარი შემოსავლიდან სახელმწიფოსთვის გადახდილი თანხა.

ტარიფი შემოსავლის ტიპიდან გამომდინარე განისაზღვრება. სტანდარტულად იბეგრება სახელფასო შემოსავალი და ამ შემთხვევაში ტარიფი მიღებული შემოსავლის 20%-ია. გამონაკლისია საცხოვრებელი სახლის გაქირავებით მიღებული შემოსავალი და ამ შემთხვევაში ტარიფი 5%-ია. პენსია და სტიპენდია სრულად გათავისუფლებულია საშემოსავლო გადასახადისგან.

საქართველოში მოქმედი კანონის თანახმად, საშემოსავლო გადასახადს ბიუჯეტში დამსაქმებელი რიცხავს ხელფასის ჩარიცხვის პარალელურად. ეს დასაქმებულს გარკვეული ბიუროკრატიისგან ათავისუფლებს. თუმცა რიგ ქვეყნებში დასაქმებულს ხელფასი სრულად ერიცხება და შემდეგ ის თავად რიცხავს ბიუჯეტში ქონების გადასახადს.

ქონების გადასახადს საქართველოში იხდიან როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები. გადასახადი არსებობს როგორც უძრავ, ისე მოძრავ ქონებაზე. ფიზიკური პირები იმ შემთხვევაში იხდიან გადასახადს, თუ ოჯახის წლიური შემოსავალი 40 000 ლარს აჭარბებს. შემოსავლად ითვლება მხოლოდ ოფიციალური სახელფასო შემოსავალი. გადასახადი წესდება სამი სახის ქონებაზე: საცხოვრებელი სახლი, სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები და ავტომანქანა.



სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე გადასახადი სხვადასხვა წესით დგინდება. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადი 1 კვ.მ.-ზე არის 24 თეთრი. თუმცა ადგილობრივ მუნიციპალიტეტს აღნიშნული გადასახადის რაოდენობის შეცვლა შეუძლია. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე კი 1 ჰექტარზე გადასახადი 16 ლარიდან 100 ლარამდე მერყეობს. გადასახადის ზუსტი ოდენობის განსაზღვრა ადგილობრივი მუნიციპალიტეტის პასუხისმგებლობაა.

ავტომობილზე გადასახადი არის მისი ღირებულების 0,2%. ასევე ღირებულების 0,2% არის გადასახადი საცხოვრებელ ფართებზეც, როგორც კერძო სახლის, ისე კორპუსის ბინის შემთხვევაში.

აღნიშნული ტარიფები მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ ოჯახის წლიური შემოსავალი 40.000 ლარიდან 100.000 ლარამდეა. როდესაც შემოსავალი 100.000 ლარს აჭარბებს, 0,2%-ის ნაცვლად გადასახადი მერყეობს 0,8%-დან 1%-მდე. მიწის ნაკვეთებზე კი გადასახადი ამ შემთხვევაშიც იგივე რჩება.

მოგების გადასახადის გადამხდელი იურიდიული პირია. მაქსიმალური ტარიფი 15%-ია. საქართველოში 2017 წლიდან იურიდიულ პირებს აქვთ უფლება, არ გადაიხადონ მოგების გადასახადი, თუ მას კვლავ ბიზნესის ინვესტირებას მოახმარენ. მარტივად რომ ვთქვათ, მოგების გადასახადი ერიცხება იურიდიულ პირს იმ ხარჯისთვის, რომელიც მის ეკონომიკურ საქმიანობასთან კავშირში არ არის. მაგალითად, თუ იურიდიული პირი საკუთარი კომპანიისთვის შეიძენს უძრავ თუ მოძრავ ქონებას, მას მოგების გადასახადი არ დაეკისრება, ხოლო თუ ის პირადი მოხმარებისთვის ან საჩუქრად შეიძენს ქონებას, გადაიხდის მომსახურების ღირებულებას ან სხვა ტიპის ხარჯს გაწევს, მოგების გადასახადის გადახდა ბიუჯეტში მოუწევს.

ასევე იბეგრება დივიდენდიც. გადასახადი დივიდენდზე შეადგენს 5%-ს. გადახდა ხდება მოგების გადასახადთან ერთად, როდესაც კომპანია ანაწილებს მოგებას ბენეფიციარებს შორის. განაწილებული მოგება იბეგრება ჯერ მოგების გადასახადით 15%, შემდეგ კი დივიდენდები იბეგრება 5%. დივიდენდების გადასახადი ექვემდებარება ყოველთვიურ დეკლარირებას.

დამატებული ღირებულების გადასახადი, იგივე დღგ არაპირდაპირი გადასახადია. ეს არის ფასნამატი, რომელსაც მომხმარებელი პროდუქტისა თუ სერვისის მომწოდებელს უხდის, ხოლო მოგვიანებით მას მომწოდებელი ბიუჯეტში რიცხავს.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს დღგ-ს გადამხდელის წოდების მინიჭების წესს. მოქმედი კანონმდებლობით, თუ კომპანიის წლიური ბრუნვა 100.000 ლარზე ნაკლებია, დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელად რეგისტრაცია ნებაყოფლობითია. ხოლო თუ ბრუნვა 100.000 ლარს აღემატება, მაშინ გადასახადის გადამხდელად დარეგისტრირება სავალდებულოა. საქმიანობის გარკვეული ტიპები დღგ-გან გათავისუფლებულია. დღგ პროდუქტისა თუ სერვისის ღირებულების 18%-ია. ბიზნესის ნაწილი ფასს განსაზღვრავს დღგ-ს ჩათვლით, ნაწილი კი ღირებულებას შემდეგი ფორმულირებით მიუთითებს: ფასი+18% დღგ.

# საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი მცირდება




საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი შემცირების ტრენდს ინარჩუნებს. სექტემბერში საქართველოს საგარეო ფინანსური ვალდებულებები წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 399,894 მლნ დოლარით, წინა თვესთან შედარებით კი, 111.097 მლნ დოლარით შემცირდა.

ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, 2022 წლის სექტემბრის მდგომარეობით, საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალმა 7.575 მლრდ დოლარს, დღევანდელი კურსით 21.478 მლრდ ლარს გადააჭარბა. 2021 წლის სექტემბრის მდგომარეობით კი, ვალის მოცულობა 7.975 მლრდ დოლარი ანუ მაშინდელი კურსით 24.906 მლრდ ლარი იყო. რაც შეეხება 2022 წლის აგვისტოს მონაცემებს, საგარეო ვალი 7.691 მლრდ დოლარს, ანუ მაშინდელი კურსით 22.340 მლრდ ლარს შეადგენდა.

2022 წლის სექტემბრის მდგომარეობით მთავრობის საგარეო ვალი იყო 7.153 მლრდ დოლარი, არსებული კურსი 20.282 მლრდ ლარი, ეროვნული ბანკის კი 421.7 მლნ დოლარი, ანუ 1.195 მლრდ ლარი.

2022 წლის სექტემბრის მონაცემებით, საქართველოს სახელმწიფოს ყველაზე მსხვილი კრედიტორები არიან: აზიის განვითარების ბანკი (ADB), ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB) და განვითარების საერთაშორისო ბანკი (IBRD).

კერძოდ, EIB-ს მიმართ ვალი – 781.508 მლნ დოლარია; IBRD-ის მიმართ სახელმწიფოს საგარეო ვალი – 1.226 მლრდ დოლარს, აზიის განვითარების ბანკის (ADB)-ის მიმართ კი – 1.778 მლრდ დოლარს აჭარბებს.

# რომელი ქვეყნებიდან შემოდის საქართველოში ხიზილალა

მიმდინარე კვირაში ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო გამშვებ პუნქტში „სადახლო-საავტომობილო“, სომხეთის რესპუბლიკიდან მომავალი, ხიზილალით დატვირთული ავტოსატრანსპორტო საშუალება შეაჩერეს.



მათი ცნობით, საბაჟო დეპარტამენტის სანიტარიული, ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული კონტროლის სამმართველოს ვეტერინარების მიერ სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის პროცედურების განხორციელებისას ტვირთზე გამოვლენილი იქნა ტემპერატურული რეჟიმის დარღვევის ფაქტი, რის გამოც ტვირთი – 200 კილოგრამი ხიზილალა უკან გაბრუნებას დაექვემდებარა.

„ბიზნესპრესნიუსი“ დაინტერესდა თუ რა მოცულობის ხიზილალა იყიდა წელს საქართველომ და რომელია ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, მიმდინარე წელს, კერძოდ იანვარ-აგვისტოში საქართველოში ჯამში, 352 710 აშშ დოლარი ღირებულების ხიზილალას იმპორტი განხორციელდა. აქედან, ქვეყანაში 8.96 ათასი აშშ დოლარის ზუთხის ხიზილალა და 343.75 ათასი აშშ დოლარის ღირებულების წითელი ხიზილალა (ხიზილალის შემცვლელები (ორაგულის ხიზილალა (წითელი) და სხვა) შემოვიდა.

რაც შეეხება იმპორტიორ ქვეყნებს, წითელი ხიზილალას იმპორტიორ ქვეყნებს შორის ლიდერობს ჩინეთი. უფრო კონკრეტულად, იმპორტის მაჩვენებლები ასე გამოიყურება:

ჩინეთი – 159,03 ათასი აშშ დოლარი;

ბელარუსი – 110,81 ათასი აშშ დოლარი;

რუსეთი – 44,15 ათასი აშშ დოლარი.

იმპორტიორ ქვეყნებს შორის ხვდება ასევე: სომხეთი, საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ლიეტუვა, პოლონეთი, არაბთა გაერთიანებული საამიროები და უკრაინა.

რაც შეეხება ზუთხის ხიზილალას, მისი იმპორტი საანგარიშო პერიოდში სრულად იტალიიდან განხორციელდა.

# ლაშა ფურცხვანიძე: „ჩვენი თანამშრომლები მუდმივად ჩადიოდნენ აუზში, ამოწმებდნენ, ყველა ტექნიკური მაკომპლექტებელი შემოწმებული გვაქვს“



„გრინსერვის პლუსის“ დირექტორის, ლაშა ფურცხვანიძის გამოკითხვა ვაკე-საბურთალოს პოლიციის განყოფილებაში დასრულდა. როგორც შენობიდან გამოსვლის შემდეგ ფურცხვანიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, ვაკის პარკის შადრევანი არამხოლოდ ქართველებს, უცხოელ სპეციალისტსაც შემოწმებული ჰქონდა.

ფურცხვანიძის თქმით, მას გამოკითხვაზე, ალბათ, ისევ დაიბარებენ.

– ჩვენ ყველა სამუშაო წესების დაცვით გვქონდა გაკეთებული, რაც პროექტში იყო, რა მოთხოვნაც არის საქართველოს კანონმდებლობაში და ზოგადად, ასეთი ტიპის სამუშაოების მოსაწყობად. ძალიან ბევრი დამთხვევაა, იმ დღესაც გითხარით, ჩვენი თანამშრომლები მუდმივად ჩადიოდნენ აუზში, ამოწმებდნენ, ყველა ტექნიკური მაკომპლექტებელი შემოწმებული გვაქვს არამარტო ჩვენ, უცხოელ სპეციალისტსაც და ასევე შემოწმებული აქვთ ექსპერტებსაც. ამის შემდეგ შეამოწმებს ექსპერტიზა, – განაცხადა ფურცხვანიძემ.

შეგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 13 ოქტომბერს, ვაკის პარკში, შადრევანში სამი ბავშვი ბურთის ამოსატანად ჩავიდა, რა დროსაც მათ დენმა დაარტყა. ბავშვები კლინიკაში სასწრაფო დახმარების ბრიგადამ გადაიყვანა. ერთ-ერთი ბავშვის, 13 წლის გოგონას, მარიტა მეფარიშვილის მდგომარეობა თავიდანვე მძიმე იყო და ის ხეჩინაშვილის კლინიკაში გარდაიცვალა.

შსს-ს განმარტებით, მომხდარ ფაქტზე დაუყოვნებლივ დაიწყო გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით. გამოძიების მსვლელობისას დაზუსტდა კვალიფიკაცია და გამოძიება გრძელდება სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე პრიმა მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, რაც გულისხმობს ელექტროობიექტზე უსაფრთხოების წესების დარღვევას, რასაც მოჰყვა ადამიანის სიცოცხლის მოსპობა. დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# ბასილაშვილის მეგობარი ქალი: „ნიკოლოზი და მისი ოჯახი ყველაზე კეთილი და მოსიყვარულე ადამიანები არიან, ვისაც კი ოდესმე შევხვედრივარ“



– ჩვენ თითქმის ორი წლის განმავლობაში ბევრი ტყუილი ვნახეთ სასამართლოში და შეიძლება ნელი დოროყაშვილი ფიქრობს, რომ ყველა იტყუება სასამართლოში, – ასე უპასუხა ბრალდებული ჩოგბურთელის ნიკოლოზ ბასილაშვილის მეგობარმა ქალმა, კარლოტა ჰელენა ფონდერლინდემ კითხვას იმასთან დაკავშირებით, რომ ნელი დოროყაშვილი მას ადანაშაულებს ცრუ ჩვენების მიცემასა და იმაში, რომ ავჭალის ეპიზოდში ის ადგილზე არ იმყოფებოდა.

– მე სასამართლოში ხელი მოვაწერე, რომ ვიტყოდი მხოლოდ სიმართლეს და არაფერს სიმართლის გარდა. ჩვენ, თითქმის ამ ორი წლის განმავლობაში, ბევრი ტყუილი ვნახეთ სასამართლოში და შეიძლება ის ფიქრობს, რომ ყველა იტყუება სასამართლოში, – განაცხადა კარლოტა ჰელენა ფონდერლინდემ.

მან ასევე აღნიშნა, რომ ნიკოლოზ ბასილაშვილი და მისი ოჯახის წევრები ყველაზე კეთილი ადამიანები არიან, შესაბამისად, უჭირს იმის წარმოდგენა, რომ ვინმეს მათთვის რაიმე მსგავსის გაკეთება შეუძლია.

– ნიკოლოზი და მისი ოჯახი ყველაზე კეთილი და მოსიყვარულე ადამიანები არიან, ვისაც კი ოდესმე შევხვედრივარ და ვერ წარმომიდგენია, რომ ვინმეს შეუძლია რაიმე მსგავსის გაკეთება მათთვის, – განაცხადა კარლოტა ჰელენა ფონდერლინდემ.

ცნობისთვის, ბრალდებული ჩოგბურთელის ყოფილი მეუღლე, ნელი დოროყაშვილი ნიკოლოზ ბასილაშვილის მეგობარს კარლოტა ჰელენა ფონდერლინდეს ცრუ ჩვენების მიცემაში ადანაშაულებს.

ამასთან, დოროყაშვილი აცხადებს, რომ 2020 წლის 21 მაისს, როცა ნიკოლოზ ბასილაშვილის მშობლების სახლთან ინციდენტი მოხდა, ეს კარლოტა ჰელენა ფონდერლინდეს არ დაუნახავს, ვინაიდან იქ არ ყოფილა.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს პროკურატურამ ყოფილი მეუღლის მიმართ განხორციელებული ფიზიკური ძალადობის ფაქტზე ნიკოლოზ ბასილაშვილს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარუდგინა, რაც გულისხმობს ოჯახში ძალადობას არასრულწლოვნის თანდასწრებით. მოგვიანებით პროკურატურამ ბასილაშვილს ბრალდება დაუზუსტა და მას ძალადობის რამდენიმე ეპიზოდთან ერთად, ფსიქოლოგიურ და ეკონომიკურ ძალადობასაც ედავებიან.

პროკურატურის ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ 2020 წლის 21 მაისს, თბილისში, ავჭალის დასახლებაში, ნიკოლოზ ბასილაშვილმა ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ყოფილი მეუღლის ნელი დოროყაშვილის მიმართ ფიზიკური ძალადობა განახორციელა. სამართალდამცველებმა ნიკოლოზ ბასილაშვილი 2020 წლის 22 მაისს დააკავეს. სასამართლომ ბასილაშვილს აღკვეთის ღონისძიების სახით 100 000-ლარიანი გირაო შეუფარდა. ნიკოლოზ ბასილაშვილს ფიზიკური ძალადობის 4 და ფსიქოლოგიური ძალადობის ერთ ეპიზოდზე ედება ბრალი.

# ნელი დოროყაშვილი: „6 თვის განმავლობაში კარლოტას არავინ ახსენებდა“

ბრალდებული ჩოგბურთელის ყოფილი მეუღლე, ნელი დოროყაშვილი ნიკოლოზ ბასილაშვილის მეგობარ კარლოტა ჰელენა ფონდერლინდეს ცრუ ჩვენების მიცემაში ადანაშაულებს.

ამასთან, დოროყაშვილი აცხადებს, რომ 2020 წლის 21 მაისს, როცა ნიკოლოზ ბასილაშვილის მშობლების სახლთან ინციდენტი მოხდა, ეს კარლოტა ჰელენა ფონდერლინდეს არ დაუნახავს, ვინაიდან იქ არ ყოფილა.

– არანაირი ყვირილი ჩემი მხრიდან იქ არ ყოფილა. აქ მოხდა ძალადობის ორი ეპიზოდი, ერთი მანქანასთან, მეორე – ჩიხთან, როცა მათ სახლს გამოვცდი და ჩამოვცდი ბეტონის ჯებირებს. მე ვუსმენდი გოგონას დაკითხვას, დავიწყებ იქიდან, რომ გამოძიების ეტაპზე დაიკითხა ყველა, მათ შორის, მეც, ქალბატონი ნატალიაც, ბატონი ნოდარიც, თენგიზიც, ნიკოლოზიც, არსად არავინ ახსენებს კარლოტას, ეს ძალიან საეჭვოა. გამოძიებიდან დაახლოებით 6 თვის შემდეგ გაჩნდა ახალი მოწმე, ქალბატონმა თეონა გვაზავამ ჩაატარა საგამოძიებო მოქმედება და დაკითხა ის, 6 თვის განმავლობაში არავინ ახსენებდა კარლოტას. ალბათ, როცა ნიკოლოზმა კარლოტა დაითანხმა, მიეცა ცრუ ჩვენება და უკვე, როცა კარგად „დაამუშავეს“, შემდეგ გადაწყვიტეს, რომ გამოეჩინათ. გარდა ამისა, მე სოცმუშაკთან მუდმივი კომუნიკაცია მქონდა, რადგან მაშინ ჩემსა და ნიკოლოზს შორის ურთიერთობებს არეგულირებდა და მასთან მქონდა მიმოწერები.



სოცმუშაკმა ნიკოლოზისგან აიღო დასტური და მომაწოდა ინფორმაცია, რომ კარლოტას იქ ყოფნა ეკრძალებოდა. გარდა ამისა, მე იქ ვიყავი მისული, სამივე სართული კარგად ჩანს, ხელის გულივით, როცა ავიხედე, ბავშვიც დავინახე, ნატალიაც დავინახე და აუცილებლად გამოჩნდებოდა ადამიანი, საკმაოდ დაბალი ჯებირებია და გამჭვირვალეა, მწოლიარე მდგომარეობაშიც აუცილებლად გამოჩნდებოდა ადამიანი. სწორედ, ბავშვისგან გავიგე გოგონას არსებობის შესახებ 16 მაისს და აუცილებლად მეტყოდა, იმ დღეს იქ რომ დაენახა, – განაცხადა დოროყაშვილმა.

ცნობისთვის, საქართველოს პროკურატურამ ყოფილი მეუღლის მიმართ განხორციელებული ფიზიკური ძალადობის ფაქტზე ნიკოლოზ ბასილაშვილს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარუდგინა, რაც გულისხმობს ოჯახში ძალადობას არასრულწლოვნის თანდასწრებით. მოგვიანებით პროკურატურამ ბასილაშვილს ბრალდება დაუზუსტა და მას ძალადობის რამდენიმე ეპიზოდთან ერთად, ფსიქოლოგიურ და ეკონომიკურ ძალადობასაც ედავებიან.

პროკურატურის ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ 2020 წლის 21 მაისს, თბილისში, ავჭალის დასახლებაში, ნიკოლოზ ბასილაშვილმა ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ყოფილი მეუღლის ნელი დოროყაშვილის მიმართ ფიზიკური ძალადობა განახორციელა. სამართალდამცველებმა ნიკოლოზ ბასილაშვილი 2020 წლის 22 მაისს დააკავეს. სასამართლომ ბასილაშვილს აღკვეთის ღონისძიების სახით 100.000-ლარიანი გირაო შეუფარდა. ნიკოლოზ ბასილაშვილს ფიზიკური ძალადობის 4 და ფსიქოლოგიური ძალადობის ერთ ეპიზოდზე ედება ბრალი.

# იარაღის ბრუნვის კონტროლის მექანიზმები იცვლება

იარაღის ბრუნვის კონტროლის მექანიზმები იცვლება. ამასთან დაკავშირებით „იარაღის შესახებ“ კანონში მთელი რიგი ცვლილებები ხორციელდება, რომელიც მთავრობის ინიციატივით უკვე პარლამენტშია.

ჯერ კიდევ მოქმედი კანონის თანახმად, სამოქალაქო ცეცხლსასროლი იარაღის სახის განსაზღვრისას აქცენტი მის დანიშნულებაზე კეთდება. გამომდინარე აქედან, იარაღის რეგისტრაციის დროს მხედველობაში სწორედ ქარხანა-დამამზადებლის მიერ განსაზღვრული დანიშნულება და მიზანი მიიღება.

კანონში დაგეგმილი ცვლილებების მიხედვით კი, სამოქალაქო იარაღის სახეებად დაყოფის ერთ-ერთ ძირითად კრიტერიუმად ლულის სიგრძე და იარაღის საერთო სიგრძე განისაზღვრება. კანონს ემატება შემდეგი ტერმინები:

მოკლელულიანი იარაღი – ცეცხლსასროლი, გაზის (აირის) ან პნევმატური იარაღი, რომლის ლულის სიგრძე არ აღემატება 300 მმ ან/და იარაღის საერთო სიგრძე არ აღემატება 600 მმ.

გრძელლულიანი იარაღი – ცეცხლსასროლი, გაზის (აირის) ან პნევმატური იარაღი, რომელიც არ განეკუთვნება მოკლელულიან იარაღს.

ცვლილების თანახმად, იმის მიხედვით, იარაღი მოკლელულიანია თუ გრძელლულიანი, შეძენის ნებართვა შეიძლება გაიცეს შენახვის ან შენახვისა და ტარების უფლებით. კერძოდ, ყველა მოკლელულიანი იარაღის შეძენის ნებართვა გაიცემა შენახვის უფლებით, ხოლო გრძელლულიანი იარაღისა კი – შენახვისა და ტარების უფლებით.

კანონის პროექტის თანახმად, 2023 წლის 1-ელ იანვრამდე შენახვისა და ტარების უფლებით რეგისტრირებული მოკლელულიანი ცეცხლსასროლი იარაღი ექვემდებარება ხელახალ რეგისტრაციას – 6 თვის ვადაში, 2023 წლის 1 ივლისამდე. აღნიშნული იარაღები შენახვის უფლებით უნდა დარეგისტრირდეს.

ამ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, მოკლელულიანი ცეცხლსასროლი იარაღის (გარდა სამსახურებრივ-საშტატო იარაღებისა) შეძენის (შენახვისა და ტარების უფლებით) ნებართვა, რეგისტრაცია და რეგისტრაციის შედეგად გაცემული იარაღის სარეგისტრაციო მოწმობა იურიდიული ძალის არმქონედ ითვლება. შესაბამისად, ვალდებულების შეუსრულებლობა იწვევს პირის პასუხისმგებლობას, „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით“ დადგენილი წესით.

გარდა ამისა, მოქმედი რედაქციით, იარაღის შეძენის (შენახვის ან/და ტარების უფლებით) ნებართვა განუსაზღვრელი ვადით გაიცემა. პროექტის თანახმად კი, იარაღის შეძენის ნებართვა მოკლელულიან ცეცხლსასროლ იარაღზე გაიცემა 5 წლის ვადით, გრძელ ხრახნილლულიან ცეცხლსასროლ იარაღზე – 5 წლის ვადით, ხოლო გრძელ გლუვლულიან და კომბინირებულ ცეცხლსასროლ იარაღზე – 10 წლის ვადით.

ნებართვის ვადის გასვლის შემდეგ, პირი ვალდებულია აღნიშნული იარაღი ნებართვის ხელახალი მოპოვებისა და რეგისტრაციის მიზნით მომსახურების სააგენტოში წარადგინოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პირის პასუხისმგებლობას „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით“ დადგენილი წესით.

ამასთან, ახალი კანონის ამოქმედებამდე გაცემული იარაღის შეძენის ნებართვა და სარეგისტრაციო მოწმობა გარკვეული ვადის განმავლობაში ინარჩუნებს იურიდიულ ძალას. კერძოდ, ხრახნილლულიანი სამოქალაქო ცეცხლსასროლი იარაღის შემთხვევაში, იარაღის შეძენის ნებართვა და სარეგისტრაციო მოწმობა ძალაში იქნება აღნიშნული კანონის ამოქმედებიდან 5 წლის განმავლობაში, ხოლო გლუვლულიანი და კომბინირებული სამოქალაქო ცეცხლსასროლი იარაღის შემთხვევაში - იარაღის შეძენის ნებართვა და სარეგისტრაციო მოწმობა ძალაში იქნება ამ კანონის ამოქმედებიდან 10 წლის განმავლობაში.

ცვლილება ლიცენზიის (ნებართვის) გაუქმების საფუძვლებსაც ეხება. კანონის მოქმედი რედაქციით, ნებართვა უქმდება თუ ნებართვის მფლობელის მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა გამამტყუნებელი განაჩენი. პროექტის თანახმად კი, აღნიშნული წესი არ ვრცელდება სხვა ნასამართლობის არმქონე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 188-ე-191-ე, 192/1, 192/2, 195/1, 196-ე, 198/1, 199-ე, 201-ე, 202-ე, 203-ე, 204/1, 205-ე, 206-ე-208-ე, 213-ე, 216-ე მუხლის პირველი ნაწილით, 217-ე, 219-ე, 220-ე, 220/1, 276-ე, 332-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 333-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 337-ე, 341-ე და 342-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულისთვის მსჯავრდებული პირის იარაღის შეძენის (შენახვის ან/და ტარების უფლებით) ნებართვაზე.

კანონს იარაღის ბრუნვასთან დაკავშირებით გაცემული ლიცენზიის გაუქმებისა და გაუცემლობის ახალი საფუძვლები ემატება.

კერძოდ, ლიცენზია (ნებართვა) უქმდება თუ ლიცენზიის (ნებართვის) მფლობელს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისთვის სახდელად დაედო იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვა ან იარაღის კონფისკაცია (კონფისკაციის შემთხვევაში უქმდება მხოლოდ აღნიშნულ იარაღზე არსებული ნებართვა). ხოლო ლიცენზია (ნებართვა) არ გაიცემა თუ ლიცენზიის (ნებართვის) მაძიებელს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისთვის სახდელად დაედო იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვა და გასული არ არის სახდელის ვადა. ასევე, ლიცენზიის (ნებართვის) არ გაცემის ერთ-ერთი საფუძველია გარემოება, როდესაც ლიცენზიის (ნებართვის) მაძიებელი მიცემულია




სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

ცვლილება ეხება იარაღის ჩამორთმევის წესსაც. ცვლილების თანახმად, თუ ლიცენზიის (ნებართვის) მფლობელის მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა გამამტყუნებელი განაჩენი (გარდა იმ მუხლებისა, რომლებიც არ ითვალისწინებს ლიცენზიის (ნებართვის) გაუქმებას), შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი ვალდებულია, აღნიშნულის შესახებ შეატყობინოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს საუბნო სამსახურს. აღნიშნული სამსახურის უფლებამოსილი წარმომადგენელი კი ვალდებულია მსჯავრდებულს განუსაზღვროს 30-დღიანი ვადა იარაღის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გასხვისებისთვის.

მსჯავრდებულის მიერ აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში (პირადად ან მინდობილი პირის მიერ) მომსახურების სააგენტო ავტომატურად აუქმებს იარაღის შეძენის (შენახვის ან/და ტარების უფლებით) ნებართვას, ხოლო სამინისტროს უფლებამოსილი დანაყოფი ახდენს იარაღის ჩამორთმევას.

„იარაღის შესახებ“ კანონში ცვლილებები შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოამზადა.

# რა შემთხვევაშია შესაძლებელი რუსეთის მიერ ბირთვული იარაღის გამოყენება?!



რუსეთ-უკრაინის ომი გრძელდება. რუსეთმა განახორციელა დარტყმა უკრაინის 40-მდე ქალაქზე. პასუხად უკრაინელებმა დაარტყეს დონეცკს, გორლოვკას, მაკეევკას და ა.შ.

მოსკოვი განსაკუთრებით შეაშფოთა უკრაინის ნატოში გაწევრიანების პერსპექტივის ზრდამ. ნატოში უკვე სათანადო განხილვები დაიწყო. პასუხად რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ სპეციალური განცხადებაც გაავრცელა, უკრაინის ნატოში მიღება მესამე მსოფლიო ომს ნიშნავსო.

გაცილებით შორს წავიდა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ლავროვი. როგორც ის აცხადებს:

– რუსეთს კუთხეში იმწყვდევენ! ასეთ სიტუაციაში აღარ გვრჩება სხვა გამოსავალი, თუ არა ბირთვული იარაღის გამოყენება!

ამ სიტყვებმა მთელი მსოფლიო შეაშფოთა. განსაკუთრებით აღსანიშნავია საფრანგეთის პრეზიდენტ მაკრონის პასუხი:

– თუ მოსკოვმა უკრაინის წინააღმდეგ ტაქტიკური ბირთვული იარაღი გამოიყენა, საფრანგეთი რუსეთზე საპასუხო დარტყმას არ განახორციელებს, – ამბობს მაკრონი.

პრეზიდენტმა ზელენსკიმ თავის გამოსვლაში შექმნილი მდგომარეობის ამომწურავი ანალიზი გააკეთა. მან აღნიშნა, რომ ყირიმის ხიდის აფეთქება რუსული ფსბ-ს ნახელავია. პუტინმა ეს სათავისოდ გამოიყენა და უკრაინას დაარტყა.

– პუტინი მზად იყო ბირთვული იარაღი გამოეყენებინა! ის ამას გააკეთებდა, თუ დარწმუნდებოდა, რომ ეს დაუსჯელად ჩაივლიდა. მომავალშიც ასე იქნება, – თქვა ზელენსკიმ.

პრეზიდენტმა ბაიდენმა პუტინი გააფრთხილა, რომ ბირთვული იარაღის გამოყენება რუსეთისათვის კატასტროფით დამთავრდება. პარალელურად რუსეთის დიქტატორი ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის ექსდირექტორმა პეტროუსმა და გენერალმა ბენ ჰოჯესმაც გააფრთხილეს. ამან გაჭრა. პუტინმა უკრაინა დაბომბა, მაგრამ ბირთვული იარაღი არ გამოუყენებია. მიზეზი აშშ-ის პოზიციაა.

ამრიგად, მაკრონის და მის მსგავსთა განცხადებები რუსეთის დიქტატორს ხელ-ფეხს უხსნის, აშშ-ის მტკიცე პოზიცია კი პირიქით, აკავებს. ის, რომ ამ ეტაპზე ბირთვული კატასტროფა არ მოხდა, აშშ-ის დამსახურებაა. დღეს ვაშინგტონი არა მხოლოდ უკრაინის, არამედ მთელი მსოფლიოს სადარაჯოზე დგას.

# რუსეთმა დაბომბვები და იდეოლოგიური დივერსიები გააქტიურა

ფრონტზე მარცხის პარალელურად, რუსეთმა დაბომბვები გააქტიურა. ტრადიციულად კვლავ დაიბომბა სუმის ოლქი. ოკუპანტებმა დაარტყეს ნიკოპოლს, ზაპოროჟიეს, ნიკოლაევს. რაკეტა კიევის ოლქშიც დაეცა. რუსებმა გამოიყენეს როგორც კალიბრის სისტემის რაკეტები, ისე ირანული დრონები.

– მშვიდობიან მოსახლეობაში არის მსხვერპლი, – იტყობინება ტელეკომპანია მე-5 არხი.

დაბომბვების პარალელურად, არ წყდება იდეოლოგიური დივერსიებიც. გადაიცა ინფორმაცია, რომ თითქოს კიევის ერთ-ერთმა მცხოვრებმა პუტინს გაუგზავნა წერილი, რომელშიც ნათქვამია, რომ უკრაინის მოსახლეობა ბანდერელთა ტერორის ქვეშ იტანჯება და რუსულ არმიას მოელის, როგორც მხსნელს.

– დღეს მთელი უკრაინა ასე ფიქრობს, – გამოაცხადა წამყვანმა.

დონბასელ სეპარატისტთა საიტმა „რუსსკაია ვესნამ" გადასცა დეზინფორმაცია, რომ პრეზიდენტი ზელენსკი თავის პოლონელ კოლეგას დუდას დაუკავშირდა და შეჰპირდა, რომ დასავლეთ უკრაინას დაუთმობს.

– ლვოვის, ივანო-ფრანკოვსკის, ტერნოპოლის, როვნოს მოსახლეობა ამას სიხარულით შეხვდა. უმრავლესობა მათგანს ხომ უკრაინის მოქალაქეობის გარდა გააჩნია პოლონეთის მოქალაქეობაც! – ამტკიცებს „რუსსკაია ვესნა".

რუსული აგენტურა თავად უკრაინაშიც გააქტიურდა. ჩვენ უკვე ვწერდით ვინიცაში დაკავებული უკრაინის ავტოკეფალური ეკლესიის (მოსკოვის საპატრიარქოსი) მიტროპოლიტის შესახებ. ის ამბიონიდან ხალხს შეიარაღებული აჯანყებისაკენ მოუწოდებდა:

– დახოცეთ ხოხოლები! ისინი სატანის მოციქულნი არიან! – გაჰკიოდა მიტროპოლიტი.

ლვოვში კი გამოჩნდა სააგიტაციო ფურცლები. მისი ავტორები ამტკიცებდნენ, რომ უკრაინას ევროკავშირში არავინ მიიღებს, ასე რომ, ლვოველებმა დასავლეთ უკრაინის დამოუკიდებლობა უნდა მოითხოვონ და ევროკავშირში ისე შევიდნენო.

– უკრაინის ერთიანობის შენარჩუნების შემთხვევაში, ომი არასდროს არ დამთავრდება! – ამტკიცებდნენ პროვოკატორები.

იმერკარპატისპირეთში კი გააქტიურდნენ ძალები, რომლებიც ე.წ. „რუსინების" ავტონომიაზე გაჰყვირიან. მათი ერთი ნაწილი ამტკიცებს, რომ რუსინებს უკრაინის ფარგლებში ავტონომია უნდა მიენიჭოს; მეორენი თვლიან, რომ იმიერკარპატისპირეთი უნგრეთს უნდა შეუერთდეს.

– უნგრეთი ნატოსა და ევროკავშირის წევრია! ასე რომ, უნგრეთთან შეერთებით ჩვენი სანუკვარი ოცნება აღსრულდება, – აცხადებენ გამყიდველები.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ბაიდენმა უკრაინას დამატებითი დახმარება გამოუყო



აშშ-ის პრეზიდენტმა ბაიდენმა უკრაინას დახმარების ახალი პაკეტი გამოუყო. ის 725 მილიონი დოლარის ღირებულებისაა.

აშშ უკრაინას მიაწვდის ახალ ამერიკულ რაკეტას, HARM-ებს, საბრძოლო მასალებს ჰამარსების ტიპის რაკეტებისათვის და სამედიცინო აღჭურვილობას.

# ომი უკრაინაში

უკრაინის მთელს ტერიტორიაზე საომარი მოქმედებები არ წყდება. ოკუპანტების დანაკარგი შემდეგია: ტანკები – 2.521; ბრონირებული მანქანები – 5.172; საარტილერიო სისტემები – 1.566; თვითმფრინავები – 268; ვერტმფრენები – 240; განადგურებულია 65. 000 ოკუპანტი.

რაც შეეხება მდგომარეობას ფრონტზე, ის შემდეგია: უკრაინული არმია განაგრძობს შეტევას როგორც აღმოსავლეთით, ისე სამხრეთით. დონბასში უკრაინელები კრემენნოეს მიუახლოვდნენ. ქალაქს მათ მხოლოდ 4 კმ აშორებთ. მსგავსი ვითარებაა ხერსონსჩინაზეც. უკრაინული არმია ხერსონიდან 10 კმ-ის დაშორებით დგას.

– ადვილი მოსალოდნელია, რომ უკრაინამ უკვე ძალიან მალე ხერსონი გაათავისუფლოს, – იტყობინება აშშ-ის ომის შემსწავლელი ინსტიტუტი.

ხერსონში უკვე დაიწყო ევაკუაცია. ადგილობრივი კოლაბორაციონისტების ლიდერმა სალდომ პირადად მიმართა პუტინს და სთხოვა, რომ მოსახლეობა ჯერ ყირიმში, შემდეგ კი კრასნოდარის მხარეში გადაეყვანა.

– მოსალოდნელია, რომ ხერსონში ქუჩის ბრძოლები დაიწყოს! ხალხიც (მოხუცები, ქალები, ბავშვები) აქედან უნდა გავიყვანოთ, – აცხადებს სალდო.

თავად კოლაბორაციონისტებმა, მათ შორის სალდომაც, თავიანთი ოჯახები კარგა ხანია რუსეთში გახიზნეს.

# ევროკავშირი უკრაინელი სამხედროების წვრთნას იწყებს



ევროკავშირი უკრაინელი სამხედროების წვრთნას იწყებს. ამის შესახებ იუწყება რადიოსადგური „ამერიკის ხმა".

– წვრთნები უკვე მომავალ კვირას დაიწყება, – გვამცნობს „ამერიკის ხმა".

ნავარაუდევია 15.000 სამხედროს მომზადება.

# ზელენსკიმ პუტინს უპასუხა

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ ომი უკრაინაში გარდუვალი იყო. შეკითხვაზე, ხომ არ ნანობთ, როცა უკრაინას ბომბავენო, პუტინმა მიუგო:

– მე არაფერს ვნანობ!

პუტინს უკრაინის პრეზიდენტმა ზელენსკიმ უპასუხა. მან თქვა, რომ ვლადიმერ ვლადიმიროვიჩი უკვე ჭკუაზე აღარაა.

– მისი მძიმე ფსიქოლოგიური მდგომარეობა ჩემთვის გასაგებია. რუსეთი მარცხდება, პუტინის დამხობაც სულ უფრო რეალური ხდება, –თქვა ზელენსკიმ.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ცხრა ადამიანის მკვლელი ვეფხვი მოკლეს

ინდოეთის ბიხარის შტატის ჩემპარანის რეგიონში პოლიციამ მოკლა ვეფხვი, რომელმაც მანამდე მინიმუმ ცხრა ადამიანი იმსხვერპლა.

ვეფხვი, რომელსაც „ჩემპრანელი კაციჭამია" შეარქვეს, აღნიშნული ტერიტორიის მოსახლეობას ატერორებდა, აღსანიშნავია, რომ ეს ტერიტორია ვეფხვების ნაკრძალ ვალმიკის მახლობლად მდებარეობს. ვეფხვმა მინიმუმ ცხრა ადამიანი მოკლა.

ნაკრძალის დირექტორის თქმით, ტ-104-ზე ნადირობა მას შემდეგ გამოცხადდა, როდესაც გავრცელდა ინფორმაცია, რომ ვეფხვმა დედა და შვილი დახოცა. მტაცებლის დაძინების მცდელობები უშედეგოდ დასრულდა.

სამი წლის ვეფხვზე, სახელად ტ-104, დაახლოებით 200 პოლიციელი ნადირობდა. ზოგიერთი მათგანი ტერიტორიაზე სპილოებზე ამხედრებულები პატრულირებდნენ.

ოპერაციას ბიხარის პოლიცია ხელმძღვანელობდა. მათ შაქრის ლერწმის პლანტაციას ალყა შემოარტყეს ვეფხვის მოსაკლავად. მტაცებელი ადამიანებს არ შეშინებია, თუმცა საბოლოოდ მაინც მოხერხდა მისი ლიკვიდაცია.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## სპორტი

# შედეგები

15 ოქტომბერი

ფეხბურთი

### ინგლისი. პრემიერლიგა

ლესტერი-კრ.პალასი ........ 0:0
ვულვზი-ნოტინგემი ........ 1:0
ფულემი-ბორნმუთი ........ 2:2
ტოტენჰემი-ევერტონი ........ 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.არსენალი | 9 | 8 | 0 | 1 | 23-10 | 24 |
| 2.სიტი | 9 | 7 | 2 | 0 | 33-9 | 23 |
| 3.ტოტენჰემი | 10 | 7 | 2 | 1 | 22-10 | 23 |
| 4.ჩელსი | 8 | 5 | 1 | 2 | 13-10 | 16 |
| 5.მანჩესტერი | 8 | 5 | 0 | 3 | 13-15 | 15 |
| 6.ნიუკასლი | 9 | 3 | 5 | 1 | 17-9 | 14 |
| 7.ბრაიტონი | 9 | 4 | 2 | 3 | 14-11 | 14 |
| 8.ბრენტფორდი | 10 | 3 | 4 | 3 | 18-17 | 13 |
| 9.ბორნმუთი | 10 | 3 | 4 | 3 | 10-22 | 13 |
| 10.ფულემი | 10 | 3 | 3 | 4 | 16-20 | 12 |
| 11.ლივერპული | 8 | 2 | 4 | 2 | 20-12 | 10 |
| 12.კრ.პალასი | 9 | 2 | 4 | 3 | 10-12 | 10 |
| 13.ვესტ ჰემი | 9 | 3 | 1 | 5 | 8-10 | 10 |
| 14.ევერტონი | 10 | 2 | 4 | 4 | 8-11 | 10 |
| 15.ლიდსი | 8 | 2 | 3 | 3 | 11-12 | 9 |
| 16.ასტონ ვილა | 9 | 2 | 3 | 4 | 7-11 | 9 |
| 17.ვულვზი | 10 | 2 | 3 | 5 | 4-12 | 9 |
| 18.საუთჰემპტონი | 9 | 2 | 1 | 6 | 8-17 | 7 |
| 19.ლესტერი | 10 | 1 | 2 | 7 | 15-24 | 5 |
| 20.ნოტინგემი | 10 | 1 | 2 | 7 | 7-23 | 5 |

### ინგლისი. ჩემპიონლიგა

ლუთონი-ქპრ ........ 3:1
როტერჰემი-ჰადერსფილდი ........ 2:1
ბარნლი-სუონსი ........ 4:0
ბრისტოლი-მილუოლი ........ 1:2
კარდიფი-ქოვენთრი ........ 0:1
მიდლსბრო-ბლექბერნი ........ 1:2
პრესტონი-სტოკი ........ 0:2
რედინგი-ვესტ ბრომვიჩი ........ 0:2
სანდერლენდი-უიგანი ........ 2:1
შეფილდი-ბლექპული ........ 3:3
უოტფორდი-ნორვიჩი ........ 2:1

### გერმანია. ბუნდესლიგა

აინტრახტი-ლევერკუზენი ........ 5:1
ვერდერი-მაინცი ........ 0:2
ვოლფსბურგი-გლადბახი ........ 2:2
შტუტგარტი-ბოხუმი ........ 4:1
ლაიფციგი-ჰერტა ........ 3:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.უნიონი | 9 | 6 | 2 | 1 | 16-6 | 20 |
| 2.ფრაიბურგი | 9 | 5 | 3 | 1 | 14-8 | 18 |
| 3.ჰოფენჰაიმი | 10 | 5 | 2 | 3 | 17-10 | 17 |
| 4.აინტრახტი | 10 | 5 | 2 | 3 | 21-17 | 17 |
| 5.ბაიერნი | 9 | 4 | 4 | 1 | 25-8 | 16 |
| 6.გლადბახი | 10 | 4 | 4 | 2 | 18-14 | 16 |
| 7.დორტმუნდი | 9 | 5 | 1 | 3 | 13-12 | 16 |
| 8.ვერდერი | 10 | 4 | 3 | 3 | 20-16 | 15 |
| 9.ლაიფციგი | 10 | 4 | 3 | 3 | 17-15 | 15 |
| 10.მაინცი | 10 | 4 | 3 | 3 | 11-13 | 15 |
| 11.კიოლნი | 9 | 3 | 4 | 2 | 16-15 | 13 |
| 12.აუგსბურგი | 9 | 4 | 1 | 4 | 9-13 | 13 |
| 13.ვოლფსბურგი | 10 | 2 | 4 | 4 | 11-17 | 10 |
| 14.შტუტგარტი | 10 | 1 | 5 | 4 | 13-15 | 8 |
| 15.ჰერტა | 10 | 1 | 5 | 4 | 12-15 | 8 |
| 16.ლევერკუზენი | 10 | 2 | 2 | 6 | 14-21 | 8 |
| 17.შალკე | 10 | 1 | 3 | 6 | 10-24 | 6 |
| 18.ბოხუმი | 10 | 1 | 1 | 8 | 9-27 | 4 |

### გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

კარლსრუე-დარმშტადი ........ 1:2
მაგდებურგი-ბრაუნშვაიგი ........ 0:2
ფორტუნა-ნიურნბერგი ........ 0:1
ჰანოვერი-არმინია ........ 2:0

### ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ხირონა-კადისი ........ 1:1
ვალენსია-ელჩე ........ 2:2
მალიორკა-სევილია ........ 0:1
ბილბაო-ატლეტიკო ........ 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 8 | 7 | 1 | 0 | 20-1 | 22 |
| 2.რეალი | 8 | 7 | 1 | 0 | 19-7 | 22 |
| 3.ატლეტიკო | 9 | 6 | 1 | 2 | 15-7 | 19 |
| 4.სოსიედადი | 9 | 6 | 1 | 2 | 15-12 | 19 |
| 5.ბილბაო | 9 | 5 | 2 | 2 | 17-6 | 17 |
| 6.ბეტისი | 8 | 5 | 1 | 2 | 10-5 | 16 |
| 7.ვალენსია | 9 | 4 | 2 | 3 | 16-10 | 14 |
| 8.ოსასუნა | 8 | 4 | 1 | 3 | 9-8 | 13 |
| 9.ვილიარეალი | 8 | 3 | 3 | 2 | 10-3 | 12 |
| 10.რაიო | 9 | 3 | 2 | 4 | 10-12 | 11 |
| 11.სელტა | 9 | 3 | 1 | 5 | 10-16 | 10 |
| 12.სევილია | 9 | 2 | 3 | 4 | 9-14 | 9 |
| 13.მალიორკა | 9 | 2 | 3 | 4 | 7-10 | 9 |
| 14.ხირონა | 9 | 2 | 2 | 5 | 12-15 | 8 |
| 15.ვალიდოლიდი | 8 | 2 | 2 | 4 | 6-13 | 8 |
| 16.ხეტაფე | 9 | 2 | 2 | 5 | 8-16 | 8 |
| 17.ალმერია | 8 | 2 | 1 | 5 | 7-12 | 7 |
| 18.ესპანიოლი | 8 | 1 | 3 | 4 | 11-16 | 6 |
| 19.კადისი | 9 | 1 | 3 | 5 | 4-17 | 6 |
| 20.ელჩე | 9 | 0 | 3 | 6 | 6-21 | 3 |

### ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ანდორა-ალავესი ........ 0:1
სარაგოსა-ვილიარეალი ბ ........ 2:1
პონფერადინა-ლას პალმასი ........ 0:1
უესკა-რასინგი ........ 0:0
ალბასეტე-ოვიედო ........ 1:0

### იტალია. სერია ა

ემპოლი-მონცა ........ 1:0
ტორინო-იუვენტუსი ........ 0:1
ატალანტა-სასუოლო ........ 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ატალანტა | 10 | 7 | 3 | 0 | 16-6 | 24 |
| 2.ნაპოლი | 9 | 7 | 2 | 0 | 22-6 | 23 |
| 3.ლაციო | 9 | 6 | 2 | 1 | 21-5 | 20 |
| 4.უდინეზე | 9 | 6 | 2 | 1 | 19-10 | 20 |
| 5.მილანი | 9 | 6 | 2 | 1 | 18-9 | 20 |
| 6.რომა | 9 | 6 | 1 | 2 | 12-9 | 19 |
| 7.იუვენტუსი | 10 | 4 | 4 | 2 | 13-7 | 16 |
| 8.ინტერი | 9 | 5 | 0 | 4 | 16-14 | 15 |
| 9.სასუოლო | 10 | 3 | 3 | 4 | 12-12 | 12 |
| 10.ემპოლი | 10 | 2 | 5 | 3 | 9-11 | 11 |
| 11.ტორინო | 10 | 3 | 2 | 5 | 7-12 | 11 |
| 12.სალერნიტანა | 9 | 2 | 4 | 3 | 12-14 | 10 |
| 13.მონცა | 10 | 3 | 1 | 6 | 9-15 | 10 |
| 14.ფიორენტინა | 9 | 2 | 3 | 4 | 7-11 | 9 |
| 15.სპეცია | 9 | 2 | 2 | 5 | 7-17 | 8 |
| 16.ლეჩე | 9 | 1 | 4 | 4 | 8-11 | 7 |
| 17.ბოლონია | 9 | 1 | 4 | 4 | 8-14 | 7 |
| 18.ვერონა | 9 | 1 | 2 | 6 | 8-17 | 5 |
| 19.კრემონეზე | 9 | 0 | 3 | 6 | 7-19 | 3 |
| 20.სამპდორია | 9 | 0 | 3 | 6 | 5-17 | 3 |

### იტალია. სერია ბ

ბენევენტო-ტერნანა ........ 2:3
კალიარი-ბრეშა ........ 2:1
კოზენცა-ჯენოა ........ 1:2
მოდენა-კომო ........ 5:1
პალერმო-პიზა ........ 3:3
პარმა-რეჯინა ........ 2:0
ჩიტადელა-სპალი ........ 0:0
ბარი-ასკოლი ........ 0:2

### საფრანგეთი. ლიგა 1

ლორიანი-რეიმსი ........ 0:0
ლანსი-მონპელიე ........ 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 10 | 8 | 2 | 0 | 28-5 | 26 |
| 2.ლორიანი | 11 | 8 | 2 | 1 | 21-14 | 26 |
| 3.ლანსი | 11 | 7 | 3 | 1 | 18-8 | 24 |
| 4.მარსელი | 10 | 7 | 2 | 1 | 20-7 | 23 |
| 5.მონაკო | 10 | 6 | 2 | 2 | 19-13 | 20 |
| 6.რენი | 10 | 5 | 3 | 2 | 20-9 | 18 |
| 8.ლილი | 10 | 5 | 1 | 4 | 18-18 | 16 |
| 9.კლერმონი | 10 | 5 | 1 | 4 | 14-15 | 16 |
| 7.ლიონი | 10 | 4 | 2 | 4 | 17-12 | 14 |
| 10.მონპელიე | 11 | 4 | 0 | 7 | 21-22 | 12 |
| 11.ტულუზა | 10 | 3 | 3 | 4 | 14-16 | 12 |
| 12.ტრუა | 10 | 3 | 2 | 5 | 18-21 | 11 |
| 13.ნიცა | 10 | 3 | 2 | 5 | 9-13 | 11 |
| 14.რეიმსი | 11 | 1 | 6 | 4 | 11-18 | 9 |
| 15.სტრასბური | 10 | 1 | 5 | 4 | 10-14 | 8 |
| 16.ოსერი | 10 | 2 | 2 | 6 | 10-22 | 8 |
| 17.ანჟე | 10 | 2 | 2 | 6 | 11-24 | 8 |
| 18.ნანტი | 10 | 1 | 4 | 5 | 9-18 | 7 |
| 19.აიაჩო | 10 | 2 | 1 | 7 | 7-15 | 7 |
| 20.ბრესტი | 10 | 1 | 3 | 6 | 10-21 | 6 |

### საფრანგეთი. ლიგა 2

სტ.ეტიენი-პარიზი ........ 0:2
ანსი-პო ........ 0:2
ვალანსიენი-გენგამი ........ 1:0
დიჟონი-კევიი ........ 0:0
ლავალი-კაენი ........ 4:0
მეცი-სოშო ........ 0:0
ნიმი-ამიენი ........ 2:0
ნიორი-გრენობლი ........ 0:3
როდეზი-ლე ავრი ........ 1:1

### ნიდერლანდები. ეჰედივიზიონი

სიტარდი-ვალვაიკი ........ 0:0
იგლზი-ჰერენვენი ........ 1:1
კამბური-ვიტესი ........ 0:3

### ბელგია. ა დივიზიონი

კორტრაიკი-ვარეგემი ........ 1:3
სტ.ტრუიდენი-შარლერუა ........ 2:1
სერკლი-ეუპენი ........ 5:1
ლეუვენი-გენკი ........ 0:1
კლაგენფურტი-ლინცერი ........ 1:3
ტიროლი-ლუშტენაუ ........ 3:2
რიდი-რაპიდი ........ 1:0

### შოტლანდია. პრემიერლიგა

ლივინგსტონი-სტ.ჯონსონი ........ 1:0
როსი-დ.იუნაიტედი ........ 1:1
სელტიკი-ჰიბერნიანი ........ 6:1
სტ.მირენი-კილმანროკი ........ 0:0

### თურქეთი. სუპერლიგა

ქარაგუმრუქი-ჰატაი ........ 3:0
ქაშიმფაშა-ადანა ........ 1:4
ქაისერი-გალათსარაი ........ 2:1
ქონია-გაზიანთეპი ........ 0:1
ვოლოსი-ლევადიაკოსი ........ 2:1
არისი-იონიკოსი ........ 2:1

### შვეიცარია. სუპერლიგა

სიონი-ლუცერნი ........ 2:0
ვინთენთური-გრასჰოპერსი ........ 1:0

### ჩეხეთი. 1 ლიგა

ბოჰემიანსი 1905-სიგმა ........ 1:1
ჰრადეც კრალოვე-ბრნო ........ 2:1
ტეპლიცე-ჩესკე ........ 0:2
სპარტა-პარდუბიცე ........ 5:2
რადომიაკი-სლასკი ........ 2:0
ლეხია-ჩენსტოხოვა ........ 0:3
ვარტა-იაგელონია ........ 2:0
პოგონი-პიასტი ........ 1:1

### უკრაინა. პრემიერლიგა

მეტალისტი 1925-ლვოვი ........ 2:2
მეტალისტი-ვორსკლა ........ 3:2

### შვედეთი. ალსვენსკა

ჰაკენი-სუნდსვალი ........ 4:1
ჰელსინბორგი-ვარბერგი ........ 1:3
ვერნამო-კალმარი ........ 1:3
სირიუსი-ნორჩიოპინგი ........ 2:0

### ნორვეგია. ელიტსერია

ტრომსო-ოდი ........ 3:2
რუსენბორგი-სტრომგოდსეტი ........ 3:0

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# ბათუმმა სუპერთასის ფლეი ოფისკენ გაიწია



რაგბი ევროპის სუპერ თასზე ბათუმმა ზედიზედ მეორე საშინაო შეხვედრა მოიგო. 3 კვირის წინ ისრაელის ჰითის 19:11 ძლევის შემდეგ, ზღვისპირელებმა რუმინული ვულკზი 23:3 დაამარცხეს და სამი უპასუხო ლელოს გატანისთვის ბონუს-ქულაც აიღეს.

შედეგად, საქართველოს ჩემპიონს 9 ქულა დაუგროვდა და აღმოსავლეთ კონფერენციაში მეორე ადგილზეა, 3 ქულით ჩამორჩება ლიდერ შავ ლომს და ამდენივეთი უსწრებს ჰითს. ამ ტურში თელავივში სწორედ ეს გუნდები თამაშობენ და ბათუმის პერსპექტივები მისი დასრულების შემდეგ უფრო თვალსაჩინო გახდება.

რუმინულ ვულკზს მასპინძლებმა მეტი მონდომების, დაცვაში კარგი გარჯის და ორგანიზებულობის ხარჯზე აჯობეს. ბათუმი დომინანტი იყო შერკინებაში, ყურადღებით თამაშობდა დაცვაში და შესაძლებლობისთანავე კარგად შლიდა ბურთს ხაზზე, სადაც სტუმრებს სისწრაფესა და ინდივიდუალურ ოსტატობაში ჯაბნიდა. რუმინელები ტერიტორიულ უპირატესობას ფლობდნენ, ბურთს მეტოქეზე დიდხანს აკონტროლებდნენ და დერეფანში სრული უპირატესობით გამოირჩეოდნენ, მაგრამ ეს მხოლოდ ერთ გატანილ ჯარიმაში ასახეს.

ნაწვიმარ ბათუმში გუნდებმა თამაში დაზვერვით დაიწყეს. თავიდანვე ცხადი გახდა, რომ ფიზიკურ ორთაბრძოლებსა და შერკინებაში მასპინძლები არაფერს დათმობდნენ და მეტოქემ მე-13 წუთზე ჯარიმით სცადა ანგარიშის გახსნა, მაგრამ დარტყმა არაზუსტი იყო. ბათუმს რამდენჯერმე მიეცა ხელდახელ სწრაფად შეტევის შესაძლებლობა და ორი მათგანი ლელოთი დასრულდა.

მე-18 წუთზე ფეხით დარტყმული ბურთი ცენტრალურ ხაზთან ისე ასხლტა, რომ ანზორ სიჭინავას ნადავლი შეიქმნა, ისიც უყოყმანოდ დაიძრა და ოფლოუდით ბექა ურჯუკაშვილი ცარიელ სივრცეში გაიყვანა. მანაც დაახლოებით 35 მეტრი დაფარა, აქედან ბოლო 7-8 მეტრი მცველთა ჭიდილში და ანგარიში გახსნა. 29-ე წუთზე სწრაფი შეტევის შედეგად, რომელიც სიჭინავა-ურჯუკაშვილის დუეტმა წამოიწყო, მარჯვენა ფრთაზე რიცხობრივი უპირატესობა გაჩნდა, ბურთი ბექა მამრიკიშვილამდე ჩათამაშდა და ისიც მარჯვენა ალამთან შეფრინდა. რეზი ჯინჭველაშვილმა რთული პოზიციებიდან ერთი გარდასახა – 12:0.

მეორე ტაიმის დასაწყისში საკუთარი გუნდის უპირატესობა ჯარიმით ჯინჭველაშვილმა გაზარდა, მაგრამ მალევე მამრიკიშვილმა ყვითელი ბარათი მიიღო და ვულკზმა რიცხობრივი უპირატესობის გამოყენება სცადა. მასპინძლები მათ ძალისმიერ მიძალებებს მედგრად დაუხვდნენ და რუმინელები იძულებული გახდნენ, 52-ე წუთზე ჯარიმა კარში დაერტყათ.

ბათუმმა სახიფათო შეტევებით უპასუხა და 62-ე წუთზე ჯინჭველაშვილმა საშუალო მანძილიდან მორიგი ჯარიმა გაიტანა, 74-ზე კი მოლი კარგად დაიძრა, მერე ბურთი მარცხენა ფრთაზე ბოლომდე ჩათამაშდა და ვანო ფუტკარაძის პასით ლელო ანზორ სიჭინავამ გაიტანა. ვულკზი ეცადა ერთი ლელოს გაქვითვას, მაგრამ ბათუმელთა დაცვა არც ამჯერად გატყდა და მათ სუპერ თასზე ბონუს-ქულით პირველი გამარჯვება იზეიმეს.

მომდევნო მატჩში, ბათუმი, 22 ოქტომბერს, თელავივში ჰითს ეთამაშება და გამარჯვების შემთხვევაში, დიდი ალბათობით, ფლეი ოფის საგზურს დაიბევებს.

**პალიკო ჯიმშელაძე, ბათუმის მწვრთნელი:**

– ვულოცავ ბიჭებს ამ გამარჯვებას. მოგებამ ფლეი ოფთან მიგვაახლოვა, რაც ჩვენთვის მნიშვნელოვანია. სუპერ თასზე პირველ ნაბიჯებს ვდგამთ და უკვე მეორე გამარჯვება მოვიპოვეთ.

# სამგურალი სამეულში დაბრუნდა, ლოკომოტივი გავარდა

გაიმართა საქართველოს კრისტალბეთ ეროვნული ლიგის 30-ე ტურის ორი მატჩი. ორივე მასპინძლებმა მოიგეს ერთნაირი ანგარიშით. ექვსი ტურით ადრე გაირკვა ისიც, თუ ვინ დატოვებს უმაღლეს ლიგას.



## სამგურალი-თელავი 2:0

**წყალტუბო. 26 მაისი**

**1:0, 2:0 რუხაძე (48პ, 57)**

**სამგურალი:** შოვნაძე, პატარკაციშვილი, გილმორი (დევდარიანი 81), მაისაშვილი, ჩიხლაძე (ნიქაბაძე 60), რუხაძე (გავაშელიშვილი 71), კალანდარიშვილი, სიმდიანკინი (სტრელნიკი 81), შ.ბურჯანაძე, კიკაბიძე, ჯერალდო (ს.კუხიანიძე 81)

**თელავი:** თანდილაშვილი, ც.კაპანაძე, ბერიაშვილი, ზ.თევზაძე, ფირანაშვილი (ყაველაშვილი 71), ვიტინიო, ჯიქია (ჩუკვურა 83), ქოჩლაძე (პარკინაშვილი 71), კვერნაძე, ფაცაცია, მუჯირი (რეკიში 62)

წყალტუბოს სამგურალმა შინ 2:0 მოუგო თელავს და მესამე ადგილზე დაბრუნდა, მაგრამ გორის დილას 2 ქულით ნაკლები და ტურში სათამაშო აქვს. თუმცა, მეორეადგილოსან ბათუმის დინამოსთან.

ორივე გოლი ექსთელაველმა ირაკლი რუხაძემ გაიტანა, 11 გოლი მოუგროვდა და ბომბარდირთა დავაში 2-3 ადგილზეა საბურთალოს ფორვარდ ირაკლი სიხარულიძესთან ერთად.

ბრაზილიელმა ჯეფერსონ ჯერალდომ სეზონში მე-10 საგოლე პასი გააკეთა და ამ მხრივ წლეულს პირველ ადგილზეა.

რაც შეეხება თელავს, ბოლო 11 ტურია გუნდს არ მოუგია და აქედან, ბოლო 6 თამაშში გოლი არ გაუტანია. თელავი მეშვიდე ადგილზეა.

გაგრა-ლოკომოტივი 2:0

**თბილისი. დინამო არენა**

**1:0 ხოსიტაშვილი (45), 2:0 ქობულაძე (45)**

**გაგრა:** ვორობეი, ხოსიტაშვილი, ჭანტურია, ნოზაძე, შონია (ხაბელაშვილი 87), ქობულაძე, შეწირული, ფარულავა (დაფე 60), ლომინაძე (სულთანიშვილი 60), გვიშიანი (ლომთაძე 87), მაქაცარია (ბუხაიძე 74)

**ლოკომოტივი:** გოშაძე, გიორგაძე, შეყილაძე (ომარაშვილი 62), კეკელიძე (დიასამიძე 46), ოზბეთელაშვილი (კახაბრიშვილი 62), ძებნიაური, გაბაძე, იაშვილი, ბუშელაშვილი (მახარობლიძე 46), აბდულაჰი (ჭიაბრიშვილი 87), უბილავა

გაგრამ დინამო არენაზე 2:0 მოუგო ლოკომოტივს. ორივე გოლი პირველი ტაიმის ბოლო წუთებზე გავიდა: ჯერ ვასილ ხოსიტაშვილმა გამოიყენა პენალტი, მერე კი, გიორგი ქობულაძემ კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთზე მეკარეს დაასწრო და...

გაგრას ბოლოს სწორედ ლოკომოტივთან ჰქონდა მოგებული და ერთი წრის შემდეგ ისევ გაიმარჯვა. გაგა კირკიტაძის გაწვრთნილი გუნდი ბოლოსწინა ადგილზეა.

ლოკომოტივი კი ჩემპიონატის დასრულებამდე 6 ტურით ადრე ოფიციალურად გავარდა...

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (თბ) | 29 | 19 | 6 | 4 | 59-23 | 63 |
| 2.დინამო (ბთ) | 29 | 18 | 7 | 4 | 67-23 | 61 |
| 3.სამგურალი | 30 | 13 | 9 | 8 | 47-35 | 48 |
| 4.დილა | 29 | 13 | 7 | 9 | 35-27 | 46 |
| 5.ტორპედო | 29 | 13 | 5 | 11 | 39-42 | 44 |
| 6.საბურთალო | 29 | 12 | 9 | 10 | 46-37 | 44 |
| 7.თელავი | 30 | 6 | 13 | 11 | 25-31 | 31 |
| 8.სიონი | 29 | 6 | 12 | 11 | 29-47 | 30 |
| 9.გაგრა | 30 | 7 | 8 | 15 | 30-48 | 29 |
| 10.ლოკომოტივი | 30 | 1 | 4 | 25 | 24-88 | 7 |

# რაგბის კავშირი და თსუ დამეგობრდნენ



საქართველოს რაგბის კავშირსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის შეთანხმება გაფორმდა, რომელიც საუნივერსიტეტო კლუბებისა და ტურნირების განვითარებას ითვალისწინებს.

პირველ ეტაპზე რაგბის კავშირი უნივერსიტეტის კუთვნილ ტერიტორიაზე 2 სარაგბო მოედანს მოაწყობს, ასევე, დაეხმარება უნივერსიტეტს მწვრთნელთა ჯგუფის შექმნაში, რომელიც რაგბიში ახალგაზრდების სამოყვარულო თუ პროფესიული კუთხით ჩართვაზე იზრუნებს, ხოლო სასპორტო ჯგუფებში ჩართული სტუდენტების ხელშესაწყობად უნივერსიტეტი სათანადო სასწავლო რეჟიმს შეიმუშავებს.

მემორანდუმს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა იოსებ ტყემალაძემ, თსუ-ს რექტორმა გიორგი შარვაშიძემ და თსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ლაშა საღინაძემ თსუ-ს ბიბლიოთეკაში, ანთიმოზ ივერიელის დარბაზში მოაწერეს ხელი.

**იოსებ ტყემალაძე:**

– ურთიერთმხარდაჭერით ამ მინდორზე ორი თანამედროვე მოედანი აშენდება, რაც მნიშვნელოვანია როგორც ქართული რაგბისთვის, ასევე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის. მნიშვნელოვანია, რომ ყველამ ერთად ვიზრუნოთ ჯანსაღი თაობის აღზრდაზე და მათ სიახლოვე ჰქონდეთ განათლებასთან, განათლებას კი სპორტთან. მოგეხსენებათ, თბილისში საწვრთნელი ბაზების ნაკლებობა გვაქვს და დარწმუნებული ვარ, ამ მხრივ ეს იქნება ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი ადგილი. დიდი მადლობა ბატონ გიორგის და ყველას, ვინც ამ პროცესში იყო ჩართული. ჩვენი მხრივ, მაქსიმუმს გავაკეთებთ, რათა მოედანი უმოკლეს ვადებში აშენდეს.

**გიორგი შარვაშიძე:**

– რაგბის კავშირთან მემორანდუმს მოეწერა ხელი, რომელიც ჯანმრთელი ცხოვრების წესის დანერგვას და რაგბის, როგორც საქართველოში ერთ-ერთი წამყვანი სპორტის სახეობის, პოპულარიზაციას ითვალისწინებს. მემორანდუმის თანახმად, უნივერსიტეტის ტერიტორიაზე მოეწყობა ორი თანამედროვე დონის მიედანი, ერთი ბუნებრივი და ერთი ხელოვნური საფარით. დარწმუნებული ვარ, ამ მოედნებზე მორაგბეთა არაერთი თაობა გაიზრდება. ასევე ღრმად მწამს, რომ თსუ-ს 7-კაცა გუნდი, რაგბის კავშირის დახმარებით, 15-კაცა გუნდად ჩამოყალბდება და ის დიდება, რომელიც საუნივერსიტეტო რაგბს და თსუ-ს გუნდს ჰქონდა, თავის საწყისს დაუბრუნდება. რაგბი სჭირდება განათლების სისტემას და განათლების სისტემას – რაგბი.

მემორანდუმზე ხელმოწერის შემდეგ, იოსებ ტყემალაძემ მასპინძლებს ბორჯღალოსნების ავტოგრაფებით დამშვენებული სათამაშო კვართი და ბურთი გადასცა.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

**სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.**

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. მამაკაცთა თავშეყრის ადგილი სოფლად რაჭაში; 2. ერთ-ერთი უძლიერესი ბრიტანელი ბილიარდისტი; 3. ქართველი კინორეჟისორი ქალი; 4. მოღრუბლული დილა; 7. ჩეხური საავტომობილო ფირმა; 9. ქართული ზღაპრების პერსონაჟი, ბოროტი, ავი სული; 12. სამეთვალყურეო გემი ნავსადგურში; 14. საჭმელი სოკო; 15. საფეხურებად გადმომჩქეფარე ხელოვნური წყალვარდნილი; 17. ქართული ხალხური შრომის სიმღერა; 20. ბალნეოლოგიური კურორტი რაჭაში.

**თარაზულად:** 5. აეროპორტი სოხუმში; 6. ყორნისებრთა ოჯახის მოლაპარაკე ფრინველი; 8. ბალზაკის ცნობილი ნოველა; 10. კომედიური ჟანრის მუსიკალური წარმოდგენა; 11. მწვავე სისხლნაკლებობა; 13. მონადირე ძაღლის ჯიში; 16. ეგეოსის ზღვისპირა კურორტი, ნავსადგური საბერძნეთში; 18. ბარიტის საბადო რაჭაში; 19. მდინარე მტკვრის მარცხენა შენაკადი საქართველოში; 21. მკბენარა მწერი; 22. გემის მიერ განვლილი მანძილის საზომი ხელსაწყო; 23. მინერალი, ძვირფასი მოსაპირკეთებელი სამშენებლო მასალა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ბაკხანალია; 2. მოჰერი; 3. ქუთაისი; 4. ფობია; 5. ჰარვარდი; 6. ლიონი; 7. ვერსაჩე; 9. რაბათი; 13. ბენცი; 17. რომი; 18. რძე.

**თარაზულად:** 1. ბუდიზმი; 3. ქარაფი; 8. ტაბიძე; 10. ნესკაფე; 11. თაობა; 12. ბაიკალი; 14. ქართლი; 15. ფაიზერი; 16. დორსე; 19. ხუცური; 20. სააკაძე; 21. პრაიდი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. დედვეიტი; 2. გალუა; 3. ფონოთეკა; 4. ტიროლი; 7. ხიხვი; 9. ატოლი; 12. უსახელაური; 14. პანედა; 15. ლაუდერი; 17. შარტავა; 20. კიური.

**თარაზულად:** 5. რეფერატი; 6. კაოლინი; 8. ოპუნცია; 10. ჯავახეთი; 11. სტრიტი; 13. არაქისი; 16. მიკიტანი; 18. კამეა; 21. გილდია; 22. არმატურა; 23. თაკვერი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

17 ოქტომბერი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.7741

ევრო — 2.6970

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.0923

100 რუსული რუბლი — 4.3673

## ამინდის პროგნოზი 17 ოქტომბრისათვის




## ერლინ ჰოლანდი: „მანჩესტერ სიტი ჩემი ოცნების გუნდია“

მანჩესტერ სიტის ფორვარდმა ერლინ ჰოლანდმა თავის გუნდზე ისაუბრა და თქვა, რომ ის ძალიან ბედნიერია სიტიში და არ აპირებს სხვაგან წასვლას, რადგან სიტი ზუსტად ისეთი სტილის ფეხბურთს თამაშობს, როგორიც მისთვის კომფორტულია: „სიტის ბევრი ძლიერი ფეხბურთელი ჰყავს და მათთან ერთად მოედანზე ყოფნა დიდი სიამოვნებაა, თუმცა მე ყოველთვის ვიცი, რომ ჩემზე ბევრი არის დამოკიდებული. მანჩესტერში ბედნიერი ვარ და აქ გადმოსვლით სწორი გადაწყვეტილება მივიღე“.

## მამარდაშვილმა ელჩესთან უხეში შეცდომა დაუშვა



ვალენსიის მეკარემ გიორგი მამარდაშვილმა ელჩესთან არცთუ კარგი შეხვედრა ჩაატარა და მისი შეცდომის შემდეგ ვალენსიას კარში პენალტი დაინიშნა, რომელიც გიორგიმ თითქმის მოიგერია, მაგრამ, სამწუხაროდ, ელჩემ გოლი გაიტანა და მატჩი ფრედ 2:2 დასრულდა. ვალენსიას ბოლო პერიოდში არცთუ კარგი დრო უდგას და ამჟამად მამარდაშვილის გუნდი სატურნირო ცხრილში მე-7 ადგილზეა.

## ტომას მიულერი: „ბაიერნი მალე ოპტიმალურ ფორმაში ჩადგება“

მიუნხენის ბაიერნის ერთ-ერთმა ლიდერმა ტომას მიულერმა განაცხადა, რომ მისი გუნდი ოპტიმალურ ფორმასთან ახლოს არის და უახლოეს მომავალში მაყურებელი ამას თვითონ იხილავს: „ბაიერნმა სეზონი არცთუ კარგად დაიწყო, მაგრამ ჩვენ ბოლო მატჩებში ვაჩვენეთ, რომ გუნდი თავის თავს ემსგავსება და ჩვენ კიდევ უფრო მოვუმატებთ. ბაიერნი მიღწეულით არასოდეს კმაყოფილდება“.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## ბესო სოლომანაშვილის ფილმის პრემიერა აღარ გაიმართება

რეჟისორ ბესო სოლომანაშვილის ფილმის „ბოსტანი კონფლიქტის ზონაში“ პრემიერა ვაკის პარკში მარიტა მეფარიშვილის ტრაგიკულ გარდაცვალებას დაემთხვა:

– უცნაურად დაემთხვა ამ ჩვენი ფილმის ეკრანებზე გამოსვლა ჩვენს მოკლულ მომავალზე და ეს ტრაგედია, არ ვიცი, როგორ შედგება ეს ჩვენება, ფეხებს ძლივს მივათრევ. ალბათ, მხოლოდ გარკვეული ვალდებულებები მაყურებელთან და ის, რომ ფილმიც ამ გამანადგურებელ ტკივილზე გადავიღეთ.

თუმცა მოგვიანებით შემოქმედებითმა გუნდმა პრემიერის გადადების გადაწყვეტილება მიიღო:

– პრემიერა უქმდება, უახლოეს პერიოდში გაცნობებთ გადამღებ ჯგუფთან შეხვედრის და პრემიერის დროს. ძალიან დიდი იმედი გვაქვს თქვენი თანადგომის, დიდ ბოდიშს მოვიხდით ფილმის ავტორები და კავეას გუნდი, რომლებმაც გაიზიარეს ეს გადაწყვეტილება და მხარში დაგვიდგნენ.

## თბილისის ბავშვთა კაპელა სომხეთში მიიწვიეს

თბილისის ბავშვთა კაპელა სომხეთში მიემგზავრება.

19 ოქტომბერს ერევანში, არნო ბაბაჯანიანის სახელობის საკონცერტო დარბაზში კაპელა მაესტრო გელა ფარჩუკიძის ხელმძღვანელობით ერთობლივ კონცერტს გამართავს სომხეთის ცნობილ გოგონათა კაპელასთან ერთად, რომელსაც მაესტრო ტიგრან ეკეკიანი ხელმძღვანელობს.

## ასტროპროგნოზი



### 17 ოქტომბრისათვის

**ვერძი** – კეთილისმყოფელი დღეა კომერციული საქმიანობისათვის. საპირისპირო სქესთან ურთიერთობისას მეტი თავშეკავება გმართებთ. **კურო** – შემოქმედებითი აქტიურობა გაამართლებს. ემოციებს არ აჰყვეთ. **ტყუპები** – ახალი იდეების განხორციელება სასიკეთო შედეგს გამოიღებს. ძველი პრობლემების მოგვარებასაც ნუ გადადებთ. **კირჩხიბი** – მივლინებაში, სამოგზაუროდ წასვლა სასურველი არ არის. გარშემომყოფები თქვენ მიმართ სითბოს ავლენენ. **ლომი** – ტრავმების მიღების ალბათობა დიდია. ჯანმრთელობას მაქსიმალურად გაუფრთხილდით. იზრდება გულ-სისხლძარღვთა დაავადებების გამწვავების რისკი. **ქალწული** – ახლობლებთან ურთიერთობა გეძაბებათ. გამორიცხული არ არის მწვავე კონფლიქტი. **სასწორი** – ყურადღებით იყავით და იოლად არავის მიენდოთ. ცრუ დაპირებების გაცემა არ არის საჭირო. **მორიელი** – ეცადეთ, ადრინდელი უარყოფითი ემოციებისაგან მალე გათავისუფლდეთ. ახალი ნაცნობობა სასიკეთო იქნება. **მშვილდოსანი** – შემოქმედებით სფეროში ბედი გწყალობთ. კონფლიქტური ადამიანებისგან თავი შორს დაიჭირეთ. **თხის რქა** – ზედმეტად ნუ დაიტვირთებით. მსუბუქი საქმე აკეთეთ. იკვებეთ ჯანსაღად. **მერწყული** – სუფთა ჰაერზე ხანგრძლივი სეირნობა ფსიქოემოციურ მდგომარეობას საგრძნობლად გამოგიკეთებთ. არ დაივიწყოთ ახლო მეგობრები. **თევზები** – ვნებები მოთოკეთ. დაუფიქრებლობა და სპონტანურობა გავნებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## იუმორი

ქალიშვილი მამას ეუბნება:
– მამა, მე გივის ცოლად არ გავყვები.
– რატომ, შვილო?
– ის ათეისტია და ჯოჯოხეთის არსებობის არ სჯერა.
– შვილო, შენ ცოლად გაჰყევი და დედაშენი აზრს ნამდვილად შეაცვლევინებს.

•••

გოგონა მოხუც მამაკაცს ეუბნება:
– ბაბუა, შარვლის კარი ღია დაგრჩენიათ...
– შვილო, როდესაც სახლში მიცვალებული ასვენია, კარს ყოველთვის ღიას ტოვებენ...

•••

ქალიშვილი დედას ეკითხება:
– დედიკო, რა უნდა გავაკეთო იმისთვის, რომ კარგი ფიგურაც შევინარჩუნო და ქმართანაც კარგი ურთიერთობა მქონდეს?
– ენაზე კბილის დროულად დაჭერა უნდა ისწავლო.

•••

მამაკაცი გოგონას ეკითხება:
– გოგონი, მომიტევეთ და ხომ ვერ მეტყვით, რას მიირთმევენ ქალიშვილები საუზმეზე?
– წარმოდგენა არ მაქვს.
– ჰოო! ასეც ვიფიქრე!

•••

ფსიქოლოგს ეკითხებიან:
– თავად თუ გჯერათ იმ ბოდვის, რომლითაც პაციენტებს არწმუნებთ?
– მე ფსიქოლოგი ვარ, გიჟი კი არა...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ნიკოლოზ რაჭველმა დაგეგმილი პრემიერა გააუქმა



მაესტრო ნიკოლოზ რაჭველმა ეროვნულ სიმფონიურ ორკესტრთან ერთად დაგეგმილი პრემიერა „ქართული კინომუსიკის შედევრები“ ვაკის პარკში მომხდარი უბედური შემთხვევის გამო გააუქმა:

– ვაკის პარკში მომხდარი ტრაგედიის გამო დაგეგმილი პრემიერა „ქართული კინომუსიკის შედევრები – მეხსიერების ბარათი №2“ გადავიტანეთ 19 ოქტომბრისთვის.

ჩვენი შემოქმედებითი ოჯახიდან არც ერთ არტისტს არ აქვს სცენაზე დგომის სურვილი და შინაგანი რესურსი.

ეს რაც მოხდა, იმდენად შემზარავია, რომ სცილდება სიტყვიერი შეფასების შესაძლებლობებს. ვუთანაგრძნობ პატარა ანგელოზის მარიტას ოჯახს, ახლობლებს, მეგობრებს და მთელს ჩვენს საზოგადოებას, ვისთვისაც უსაზღვროდ მძიმე და დაუვიწყარი დღე გათენდა.

## ანრი ჯოხაძემ ახალი კლიპი გადაიღო



„რა აზრი აქვს ლოდინს“ – ასე ჰქვია ანრი ჯოხაძის ახალ ნამუშევარს, რომელიც მან ათასობით ერთგულ მსმენელს შესთავაზა.

კლიპის რეჟისორი და მუსიკის ავტორი ანრი ჯოხაძეა, ლექსის ავტორები – თამარ უჯმაჯურიძე და ანრი არიან, ოპერატორი კი – რომა სიმონიანი.

მომღერლის ახალმა სიმღერამ და მასზე გადაღებულმა ვიდეორგოლმა, როგორც მოსალოდნელი იყო, მსმენელში დიდი მოწონება გამოიწვია. ინტერნეტით გავრცელებულ ანრის ნამუშევარს უამრავი გაზიარება და დადებითი კომენტარი აქვს.

## ვაჟა-ფშაველას უცნობი ფოტო აღმოჩენილია

აღმოჩენილია ვაჟა-ფშაველას აქამდე უცნობი ფოტო, რომელიც 1911 წელს ლაშარობის დღესასწაულზე სალოცავში შეკრებილ ფშაველებთან ერთად არის გადაღებული.

**ლელა რაზიკაშვილი, ვაჟა-ფშაველას შთამომავალი:**

– ფაქტიურად აღმოჩენაა ეს და უსაზღვრო მადლობა იმ ოჯახს, იმ ადამიანს, ვინაც ეს ფოტო შემოინახა!

მე არ ვარ ექსპერტი ამ საკითხებში, მაგრამ ეს აუცილებლად ვაჟაა! სახე, აღნაგობა, დგომის მანერა! ასე დაყრდნობილი ხირიმზე კიდევ ერთი ძალიან ცნობილი ფოტო გვაქვს სახლის წინ!

უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ის თავხევისბერი იყო და უმისოდ ხატობები არ ტარდებოდა! თან მაშინ, მთაში ფოტო დიდი იშვიათობა იყო და ვაჟას გარდა, ფოტოგრაფი გადასაღებად თითქმის არავის გაყვებოდა!

ვერ ვიტყვი დანამდვილებით, მაგრამ არ გამოვრიცხავ, რომ ესეც ქაიხოსრო ზანდუკელის იყოს, სწორედ მას აქვს ვაჟას ფოტოები დღესასწაულებზე გადაღებული!

რა საოცარია, კიდევ ერთხელ შემოგვეყარა აგერ, ამ ახალ საუკუნეში!

## ლიზი გოგუა გერმანული „ვოისის“ ნახევარფინალისტია



18 წლის ქართველი მომღერალი ლიზი გოგუა გერმანული „ვოისის“ ნახევარფინალისტად დასახელდა.

ეტა ჯეიმსის ერთ-ერთი ცნობილი ჰიტის შესრულების შემდეგ, მისმა მწვრთნელმა 4 კონკურსანტს შორის არჩევანი სწორედ ლიზიზე გააკეთა და შოუს ნახევარფინალისტად აირჩია:

– ნახევარფინალისტობა უდიდესი პასუხისმგებლობაა! სიტყვებით ძალიან ძნელია ჩემი ემოციის გადმოცემა! ოცნებები ხდება და გერმანული ვოისის ნახევარფინალში ვარ! ყველაფერი ჯერ წინ არის! რამდენიმე კვირაში ლაივ შოუზე შევხვდებით!

## დავით ფოცხიშვილის ფილმს ბარსელონას კინოფესტივალზე აჩვენებენ



ქორეოგრაფ დავით ფოცხიშვილის ფილმს „მისტერია“ ბარსელონას კინოფესტივალზე აჩვენებენ:

– ჩვენი ფილმი „მისტერია“ უკვე ანონსშია ბარსელონას კინოფესტივალის ფარგლებში კინოთეატრ „მალდაში“. 21 ოქტომბერს კინოთეატრში შედგება „ჩვენი“ მოკლემეტრაჟიანი ფილმის პირველი ოფიციალური ჩვენება.

ეს არის ქორეოგრაფიის უმაღლესი დონის კინოფესტივალი, სადაც მსოფლიო დონის ქორეოგრაფები იღებენ მონაწილეობას. აქ სელექცია უდიდესი წარმატებაა.

## გიორგი ლობჟანიძის ლექსები იტალიურად ითარგმნა



პოეტ გიორგი ლობჟანიძის ლექსები იტალიურად ითარგმნა. თარგმნილი ლექსები უკვე ერთ კრებულში გაერთიანდა და მისი პრეზენტაცია იტალიის სხვადასხვა ქალაქებში მოეწყობა.

**გიორგი ლობჟანიძე:**

– ვინც სად ბრძანდებით იტალიაში, პოეზიით დაინტერესებულნო, ეწყობა იტალიურ ენაზე ლადოლფის გამომცემლობის მიერ დასტამბული ჩემი ლექსების კრებულის „სიზმრის ნანგრევებში“ წარდგენათა მთელი ტურნე იტალიის სხვადასხვა ქალაქში: რომში – 19 ოქტომბერს, ბარიში – 20 ოქტომბერს, ნეაპოლში – 22 ოქტომბერს, მილანში – 23 ოქტომბერს.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. ლუდის ღვთაებად მიჩნეული მითოლოგიური ფლანდრიელი მეფე; 2. საქართველოში გავრცელებული წითელ წიგნში შეტანილი ძალზე მაგარმერქნიანი ფოთლოვანი ხე; 3. თანამდებობების, წოდებების ყიდვა-გაყიდვა შუა საუკუნეების კათოლიკურ ეკლესიაში; 4. თაფლით, ქიშმიშით შეზავებული მოხარშული ხორბლის ტკბილეული; 5. ძველად კვირის რომელიმე დღე, რომელიც სტუმრების მისაღებად ჰქონდათ წინასწარ დანიშნული; 6. მოძრავი სცენა თეატრში; 7. გერმანული ელექტროტექნიკური კომპანია; 9. შედღვებილი რძისგან მომზადებული პროდუქტი; 13. შოკოლადის მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 17. მონღოლთა მომთაბარე დამპყრობელი ლაშქარი; 18. მდინარე ციმბირში,

**თარაზულად:** 1. ქართველი სუმოისტი; 3. იაპონური ციფრულ-ლოგიკური თავსატეხი; 8. ბერძნული ხალხური მუსიკალური ინსტრუმენტი; 10. ზღვის სიღრმის საზომი ჰიდროაკუსტიკური ხელსაწყო; 11. ქართული საესტრადო ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი; 12. ფეხბურთის ბრაზილიელ გულშემატკივართა სახელწოდება; 14. შავი და თეთრი შრეების მქონე მინერალი, აქატის ნაირსახეობა; 15. სიმღერის შესრულება მუსიკალური თანხლების გარეშე; 16. სამხრეთ კორეის დედაქალაქი; 19. ფრანგი კომიკოსი მამაკაცი; 20. მქრქალი, გამჭვირვალე ფაიფური; 21. ღვთისმშობლის სახელწოდება კათოლიკეებში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*